# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 1 სექტემბერი 2006 №201 (2823) ფასი 50 თეთრი





# ადამიანური, ძალიან ადამიანური

## საქართველოს ნაკრებმა ღმერთს ძალა შესთხოვა

2 სექტემბერს
VEGA SLOT გთავაზობთ სიურპრიზს

# არა ფერი ეროვნულის გარდა

## მობრძანდით სამი საათით ადრე, დალიეთ პატარა ჭიქებით და ნუ მოხვდებით კამერაში

გუშინწინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ისეთი სიტყვები თქვა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს ძალიან არ ესიამოვნებოდა. სააკაშვილმა ახალკაცს წინამორბედის ბედი გაახსენა, ყველაფერი კი საქარველო — საფრანგეთის მატჩზე დასასწრებ ბილეთებს მოჰყვა — ბილეთების გაყიდვა რომ, ცოტა არ იყოს, შეფერხდა, ამას ყველა ხედავს.

გუშინ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ნოდარ ახალკაცმა, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ და 2 სექტემბრის მატჩის დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა პრესკონფერენცია გამართეს. ჟურნალისტთა პირველი შეკითხვა სწორედ მიხეილ სააკაშვილის მუქარას ეხებოდა, რაზეც ნოდარ ახალკაცმა გვიპასუხა:



ნოდარ ახალკაცი


გოგი ქავთარაძე



დავით პეტრიაშვილი

„ეს საკითხი 6 სექტემბრის უკრაინასთან მატჩის შემდეგ გაირკვევა. საქართველოს ნაკრებს უმნიშვნელოვანესი მატჩები ელის. მინდა, რომ ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა მთელი ერისგან მხარდაჭერა იგრძნონ, ასეთი შეხვედრის წინ ეს აუცილებელია. ნაკრებმა მხოლოდ ფეხბურთზე უნდა მოახდინოს კონცენტრაცია."

შემდეგ ახალკაცმა თქვა, რომ ბილეთების რეალიზაცია დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, მთლიანად სტადიონი კი იმდენად კეთილმოეწყო, რამდენადაც ამ მცირე ხანში იყო შესაძლებელი, ექსტრემალურ პირობებში ვმუშაობდით და მაქსიმუმიც კი გაკეთდაო.

რამდენი ხანია, ველით და, მგონი, უნდა მოვესწროთ, რომ სტადიონზე შესვლა-გამოსვლა ადამიანურად შევძლოს და არა ჭყლეტა-დაკა-დაკაში. ახალკაცმა ამაზეც ვრცლად ისაუბრა:

„თამაშის დღეს რამდენიმე საათით ადრე სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდება. გამონაკლისი იქნება საშვიანი მანქანები. ადრე ასე ხდებოდა, სტადიონზე გულშემატკივართა დიდი ნაკადი ფეხით მოდიოდა და ამ ტრადიციის აღდგენა ცუდი არ იქნება. „ეროვნულის" კარები მატჩამდე სამი საათით ადრე გაიღება და გულშემატკივრებს ვთხოვ, ადრე მოვიდნენ სტადიონზე".

*დავით პეტრიაშვილი:* „უეფადან უკვე მოვიდა წერილი, რომლის თანახმადაც, ეროვნულ სტადიონს ნებისმიერი რანგის მატჩის მასპინძლობა შეუძლია, გარდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპებისა. გარკვეული სიძნელეები არის სტადიონზე, რადგან ბევრი რამ შეიცვალა და გადაადგილდა. კატეგორიულად აიკრძალება შუშის და პლასტმასის ბოთლებით შეტანა, სამაგიეროდ, სექტორებში გამაგრილებელი სასმელები პატარა ჭიქებით გაიყიდება."

პეტრიაშვილმა ფრანგების თბილისურ განრიგზეც გვითხრა: „ლურჯები" დღეს 19 საათზე „ეროვნულზე" ივარჯიშებენ, სადაც საწყის 15 წუთში მხოლოდ პრესის წარმომადგენლებს შეეძლებათ შესვლა და მერე ისინიც დატოვებენ სარბიელს. თამაშის დაწყებამდე კი იქნება შოუ-პროგრამა და გულშემატკივრებს სიურპრიზებიც ელით.

და კიდევ: 2 სექტემბრის თამაშს „იმედის" გარდა ფრანგული ტელეკომპანია TF1-იც გადასცემს პირდაპირი ეთერით, ხოლო კიდევ ექვს ტელეკომპანიას მატჩის შემდეგ ჩართვის უფლება აქვს.

რატომ ვერ ჩამოდის 2 სექტემბრის მატჩზე ზინედინ ზიდანი? გოგი ქავთარაძემ გვითხრა, „ზიზუ" ერთ-ერთ კუნძულზე ისვენებს და ვერ მოიცალაო.

„ვიმეორებთ, სტადიონზე შესვლის იმედი უბილეთოებს ნუ ექნებათ. 2 სექტემბერს ბილეთები აღარ გაიყიდება. კონტროლი გაძლიერებული იქნება, ამასთან, სტადიონზე დამონტაჟებული კამერები ბოთლების ან სხვა აკრძალული საგნების მსროლელებს დააფიქსირებენ" — ესეც ქავთარაძის სიტყვებია.

მოკლედ, ყველაფერი საზეიმო უნდა იყოს და აკი ქავთარაძემ ერთი თხოვნითაც მოგვმართა ჟურნალისტებს, იქნებ ერთობლივი აქცია მოვაწყოთ და თქვენი დახმარებით გულშემატკივრებს სტადიონზე თეთრ-წითელი ტანსაცმლით მოსვლა შევთავაზოთო.

მშვენიერი აზრია — ეროვნულად შეფერილ გადაჭედილ ტრიბუნებს სხვა მუხტი აქვს.

ნება ქომაგებისაა...

**ილია ნანობაშვილი**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტო**



# დავით კირკიტაძე: ფედერაციის პრეზიდენტობა დიდი პატივია, მაგრამ...

ქართული ფეხბურთის კულუარებში ნაციონალების ერთ-ერთი სახე, დავით კირკიტაძე, ადრეც ივარაუდებოდა ფეხბურთის ფედერაციის შესაძლო თავკაცად. გუშინწინ კი, განახლებული ეროვნული სტადიონის გახსნისას, საქართველოს პრეზიდენტმა საქართველო — საფრანგეთის მატჩის ბილეთების არაორგანიზებულად გაყიდვის გამო ფედერაციის თავკაც ნოდარ ახალკაცს თითი დაუქნია. „გადაეცით ახალკაცს, თავს ბოლომდე ნუ მოიჭრის" — ეს მიხეილ სააკაშვილმა სტადიონის პრეზენტაციისას თქვა

საქართველოს პრეზიდენტის განცხადების შემდეგ დავით კირკიტაძის ქართულ ფეხბურთში გაპირველკაცება უფრო აქტუალური გახდა. მით უმეტეს, სპორტის ნაციონალ ლობისტებს მისი საწინააღმდეგო არაფერი აქვთ.

ვითარებაში უკეთ გასარკვევად გუშინ მოარული ხმების მთავარ მიზეზს დავით კირკიტაძეს დავუკავშირდით...

— საქართველოს პრეზიდენტის განცხადების შემდეგ კულუარებში უფრო აქტიურად ალაპარაკდნენ, რომ ფედერაციის მომავალი პრეზიდენტი თქვენ იქნებით...

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჰყავს პრეზიდენტი. მჯერა, რომ იგი თავის საქმეს ღირსეულად გაუძღვება. ჩემ ფედერაციის პრეზიდენტობაზე საუბარი არ ყოფილა.

— ესე იგი, თქვენ არ აპირებთ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას?

— არა, მე პარლამენტშიც ბევრი საქმე მაქვს. აქედან უფრო დავეხმარები ქართულ ფეხბურთს და, საერთოდ, ქართულ სპორტს.

— რომ შემოგთავაზონ, გაქვთ სურვილი, რომ ქართული ფეხბურთის თავკაცი გახდეთ?

— ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელობა, რა თქმა უნდა, დიდი პატივია, მაგრამ ახლა მას ჰყავს თავისი თავკაცი და ჩემ გაპრეზიდენტებაზე საუბარი ნაადრევია.

**ბაჩო სვანიძე**

# დომენეკი და 199 ფრანგი


თბილისში გამომგზავრებამდე საფრანგეთის ნაკრებმა ფოტოსესია მოიწყო

**დღეს** 16 საათზე თბილისში საფრანგეთის ნაკრები ჩამოვა. სტუმართა დელეგაცია, იცოცხლეთ, საკმაოდ მრავალრიცხოვანია, ფრანგები დაახლოებით 200-კაციანი დელეგაციით მოდიან, რომელთა შორის 80 ჟურნალისტი იქნება.

საქართველოს სახვალიო მეტოქე ჩარტერული რეისით გამოფრინდება, სასტუმრო „შერატონში" დაბინავდება და დღესვე საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი რაიმონ დომენეკი შვიდის ნახევარზე ეროვნულ სტადიონზე პრესკონფერენციას გამართავს, შემდეგ კი შეგირდებს ავარჯიშებს. ფრანგებმა დახურული ვარჯიში მოითხოვეს და, შესაბამისად, შვიდი საათიდან „ეროვნულის" ყველა კარი ჩაიკეტება.

**ლუკა თალაკვაძე**

**შვედეთი**

თასი. მეოთხედფინალი

კალმარი 4:2დ.დ.(2:2) ნორჩიოპინგი

**დანია**

თასი. I ეტაპი

მიდტიულანდი 3:0 სილკებორგი

# სული ღვთისაა გუნდი ერისა



**საქართველოს** ნაკრებმა სამების ტაძარში ილოცა...

გუშინ ეროვნულმა გუნდმა დილით ივარჯიშა და საღამო თავისუფალი ჰქონდა. თავდაპირველი გეგმით, ნაკრები შიომღვიმის მონასტერში უნდა წასულიყო, მაგრამ გეგმები მოგვიანებით შეიცვალა და ეროვნულმა და ახალგაზრდულმა გუნდებმა სამებას მიაშურეს.

ტაძარში ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა დაახლოებით ერთი საათი დაჰყვეს, სანთლები დაანთეს, ზეთი იცხეს და მერე მთელი კომპლექსიც დაათვალიერეს. ნაკრებს მეგზურობას, რა თქმა უნდა, ღვთისმსახურნი უწევდნენ. კლაუს ტოპმიოლერმა არც ერთი ხატი უყურადღებოდ არ დატოვა, აშკარა იყო, მისთვის ყოველივე ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი გახლდათ და მიღებული შთაბეჭდილება-ემოციები არც ჩვენთან საუბრისას დაუფარავს:

— აქ ყველაფერი ბრწყინვალეა, სამებას ძალიან დამუხტული ვტოვებ და დარწმუნებული ვარ, ბიჭებსაც ასეთივე განცდა აქვთ. ჩვენ აქ ყოფნას თავისი დატვირთვა ჰქონდა.

კლაუს ტოპმიოლერმა შესაწირიც გაიღო და უპოვართ და შეჭირვებულებსაც შეეწია. ასევე მოიქცა მთელი გუნდი და მერე ბაზას დაუბრუნდა.

ჩვენი ეროვნული ნაკრები დღესაც და ხვალაც დილით ივარჯიშებს „ეროვნულზე“, ხვალ რვა საათიდან კი...

**ქოგა ინასარიძე**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**













საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT



შოთა არველაძე, ბესიკ ფრიდონაშვილი, კლაუს ტოპმიოლერი და ლევან კობიაშვილი

ბაჩანა კოპილაძის ფოტო

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა, კაპიტანმა ლევან კობიაშვილმა და საუკეთესო ბომბარდირმა შოთა არველაძემ პრესკონფერენცია გამართეს.
მწვრთნელიც და ფეხბურთელებიც იმედიანად არიან — გუნდში კარგი განწყობაა და 2 სექტემბრის მატჩისთვის სერიოზულად ვემზადებითო.
თავიდან კლაუს ტოპმიოლერმა დაიწყო, რომელსაც თარჯიმნობას თანაშემწე, ბესიკ ფრიდონაშვილი უწევდა. ტოპიმ საკმაოდ ვრცლად გაგვაცნო სანაკრებო ამბები...

# ჩვენ ერთი ოცნება ვართ

## ტოპმიოლერს ფანატიკოსი მეზობლის არ ეშინია

— შვიდი თვეა, საქართველოს ნაკრებში ვმუშაობ. როცა მწვრთნელად ვინიშნებოდი, მაშინ არავინ იცოდა, მსოფლიოს ორ საუკეთესო გუნდს, იტალიას და საფრანგეთს, ასევე მუნდიალის მეოთხედფინალისტ უკრაინას თუ შევხვდებოდით შესარჩევში. ეს დიდი მოვლენაა საქართველოსთვის და ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ღირსეულად ვითამაშოთ...

...ოცნება გვაქვს, წარმატებას მივაღწიოთ და, როცა რამეზე ოცნებობ, ყველაფერი უნდა გაიღო მის ასახდენად. ჩვენ ძალიან კარგი სტარტი გვქონდა ამ შესარჩევში და ახლა ახალი ოცნებით ვცხოვრობთ — მომდევნო ამოცანა საფრანგეთია. ეს არის ჩვენი მთავარი საფიქრალი...

...რა თქმა უნდა, 2 სექტემბრის მატჩში საფრანგეთი ფავორიტია. ამ გუნდმა ბოლო 25 მატჩიდან მხოლოდ ერთი წააგო, რაც მართლაც შთამბეჭდავი შედეგია, მაგრამ ჩვენ კონცენტრირებულად ვმუშაობთ და დიდი იმედით ველით ამ თამაშს. კარგად ვიცით, რომ შეუძლებელი არაფერია...

...არ შემიძლია, არ ვთქვა სტადიონზე — ასე მცირე ხანში ამხელა სამუშაოს ჩატარება გმირობის ტოლფასია. ეროვნული სტადიონი მართლაც მშვენიერია და არაფერი დაეწუნება. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმ ხალხს, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ საქმეში. ასევე მადლობის ღირსია ის ხალხი, ვინც ეს ბაზა გაარემონტა. ფეხბურთის ფედერაციამ დროულად და ხარისხიანად მოგვიგვარა ეს პრობლემა...

...სამწუხაროდ, საფრანგეთთან მატჩში ორი წამყვანი ფეხბურთელი ვერ დაგვეხმარება — გეცოდინებათ, კახა კალაძე და ლევან ცქიტიშვილი ტრავმირებულები არიან. როგორც ვიცი, კალაძე დღეს-ხვალ ჩამოვა და ფრანგებთან გვიქომაგებს. ცუდია ისიც, რომ ვერ ითამაშებს ლაშა ჯაკობია — იგი შეკრებაზე კი ჩამოვიდა, მაგრამ ტრავმა თამაშის საშუალებას არ აძლევს. მოკლედ, ტრავმებმა შეგვაწუხა, თუმცა გამოძახებული გვყავს სხვა ფეხბურთელები, ისინი, რომლებიც დაშავებულებს შეცვლიან და მჯერა, ღირსეულადაც...

...გუნდის შემხედვარე თამამად ვიტყვი, რომ ბიჭები ძალიან მოტივირებულები არიან. გვინდა, კარგი თამაში ვაჩვენოთ და ქართველი ხალხი გავახაროთ...

...საფრანგეთი თითქმის იგივე გუნდია, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო — ზინედინ ზიდანის და ფაბიენ ბარტეზის გარდა არავინ გამოჰკლებია. მოკლედ, საქმე ძალიან ძლიერ გუნდთან გვაქვს, თუმცა ერთს გპირდებით: თავს არ დავზოგავთ და მეტოქეს ბოლომდე შევებრძოლებით. მჯერა ჩემი გუნდის და დარწმუნებული ვარ, ბიჭები ბოლო წუთამდე თავდაუზოგავად იბრძოლებენ. ჩვენი დევიზია „ჩვენ ერთი გუნდი ვართ" და სირთულეებსაც ერთად უნდა გავუმკლავდეთ. საფრანგეთთან მატჩს მოუთმენლად და დიდი იმედით ველი.

*აი, ასე საფუძვლიანად ილაპარაკა კლაუს ტოპმიოლერმა და მერე კითხვებსაც საკმაოდ ამომწურავად უპასუხა...*

— თქვით, შვიდი თვეა, რაც საქართველოს ნაკრებში ვმუშაობო. თქვენი აზრით, ამ ხანში რა ეტაპები გაიარა გუნდმა, რამდენად ამჩნევთ პროგრესს?

— თავიდან იმ ფეხბურთელების ნახვა და გაცნობა გადავწყვიტე, რომლებიც შედარებით მეორე პლანზე იდგნენ, თუმც ნაკრების კანდიდატებად ითვლებოდნენ. მათზე დაკვირვებისას ვცდილობდი, დამენახა, შეეთვისებოდნენ თუ არა ისინი იმ სათამაშო სისტემას, რომელიც გვქონდა არჩეული. სწორედ ამის მიხედვით ჩავინიშნე სასურველი მოთამაშეები...

...საერთოდ, ტაქტიკა იმის მიხედვით უნდა ააწყო, თუ რა სტილის ფეხბურთელები გყავს გუნდში. ვფიქრობ, საქართველოს დღეს ჰყავს ის მოთამაშეები, რომლებსაც ჩემი დავალების შესრულება შეუძლიათ...

...ამის შემდეგ ნაკრებმა თანდათან მიიღო ის სახე, რასაც დღეს ხედავთ. ამ პერიოდში ბევრი იმუშავა ნოდარ ახალკაცმაც — მან სპონსორები და პარტნიორები მოიზიდა. აი, მაგალითად, ჩვენი სპონსორია საკმაოდ ცნობილი ფირმა „დიადორა", რომელიც ნაკრებს მოსავს...

ვნახოთ, კიდევ ბევრია გასაკეთებელი და ყველანაირად ვეცდებით, წინ წავიწიოთ.

**— საფრანგეთის ნაკრებზე საკუთარი შეხედულება ყველას აქვს, მაგრამ თქვენ, როგორც მწვრთნელი, რას იტყვით ამ გუნდის პლუსმინუსებზე?**

— ფარერებთან მატჩის წინ ლამის მთელი ფარერები შევისწავლე. ახლაც შემიძლია, სათითაოდ ჩამოგითვალოთ ფარერების ნაკრების ყველა ფეხბურთელი თავისი ამპლუითა და მონაცემებით. ამით იმის თქმა მსურს, რომ გაცილებით უკეთეს სიტუაციაში ვარ ახლა — საფრანგეთი ზეპირად ვიცი. ამ ნაკრებზე ყველანაირი ინფორმაცია მაქვს და ისიც გაითვალისწინეთ, რომ ფრანგებში ჩემი საცხოვრებელი ადგილის წყალობითაც იოლად ვერკვევი — გერმანიაში სწორედ საფრანგეთის საზღვართან ვცხოვრობ...

...ფრანგების თამაში არაერთხელ მინახავს და კარგად ვიცი მათი შესაძლებლობები. რაიმონ დომენეკი დაცვის მოყვარული მწვრთნელია და ძირითადად 4-2-3-1 სქემით ათამაშებს გუნდს. დომენეკი რომ დაცვითი ფეხბურთის ფანატიკოსია, იქიდანაც ჩანს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანა მართლაც შესანიშნავი შემტევი ნახევარმცველები — რობერ პირესი და ლუდოვიკ ჟიული. მათ ნაცვლად გუნდში არიან ფლორენ მალუდა და ფრანკ რიბერი, რომელთაც შეტევასთან ერთად დაცვაში თამაშიც ევალებათ...

...მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საფრანგეთმა ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატარა — ბოსნიასთან 2:1 მოიგო და იმ მატჩში ზიდანის ადგილზე ტიერი ანრიმ ითამაშა, ფორვარდი კი ლუი საა იყო. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მცველები, სანიოლი, ტურამი და გალასი უმაღლესი დონის ფეხბურთელები არიან, არაფერს ვამბობ პატრიკ ვიეირაზე...

...ვფიქრობ, ძალიან დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ ფლანგებს. ფრანგები სახიფათონი არიან, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა შაბათს ჩვენ მოვიგოთ.

*ამის შემდეგ ორიოდ სიტყვა ფეხბურთელებმაც გვითხრეს...*

ლევან კობიაშვილი: პირველ რიგში, მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ეროვნული სტადიონი და ბაზა გაარემონტა. ნანახით მართლა ძალიან კმაყოფილები ვართ — მშვენიერი სტადიონი გვაქვს. რაც შეეხება 2 სექტემბრის თამაშს — ცხადია, საფრანგეთი ფავორიტია და მოგების შანსი მაშინ გვექნება, თუ სიტყვები „ჩვენ ერთი გუნდი ვართ" მხოლოდ კამერების წინ ნათქვამ სიტყვებად არ დარჩება და ბოლომდე თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება...

...დიდი მნიშვნელობა აქვს ქომაგობასაც. ადრეც მითქვამს, მსოფლიოს ჩემპიონატი გერმანიაში რომ არ გამართულიყო, გერმანიის ნაკრები ალბათ მეოთხედფინალშიც ვერ გავიდოდა. მათ ძალიან დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ და ამან გუნდზე ძალიან კარგად იმოქმედა. იმედია, გულშემატკივრები 2 სექტემბერს ჩვენც მხურვალედ დაგვიჭერენ მხარს. ჩვენ ეს გვჭირდება.

შოთა არველაძე: გუნდში ძალიან კარგი, საბრძოლო განწყობაა. საფრანგეთი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი კია, მაგრამ ჩვენ მხარესაცაა რამდენიმე ფაქტორი — შინ ვთამაშობთ, ახალი სტადიონია, ახალი იმედებია, კარგი ატმოსფეროა შექმნილი, კარგად დავიწყეთ შესარჩევი ციკლი... უკან არ დავიხევთ და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საფრანგეთთან წარმატებას მივაღწიოთ.

**ძაძა ფალამბერიძე**



# მე იქ ხშირად მიჭირდა

## ალენ ჟირესი ფრანგებს ამშვიდებს: საქართველო მახე არ არის

ალენ ჟირესი სამწვრთნელო სკამზე არასდროს ყოფილა და ალბათ ვერც იქნება კლაუს ტოპმიოლერი, მაგრამ მუსიე ალენი ხომ მშვენივრად იცნობს საქართველოს ნაკრებს. ფრანგებსაც მასზე უკეთესი ინფორმატორი ვინ უნდა ენახათ...

პოპულარულ ფრანგულ გამოცემა „ეკიპთან“ ინტერვიუში ჟირესი თანამემამულეებს ქართველების ძლიერ და სუსტ მხარეებზე და დამახასიათებელ საფეხბურთო შტრიხებზე უყვება — პროგნოზში კი ოდნავი თავშეკავებით, მაგრამ თითქმის დარწმუნებით ამბობს, „ლურჯები“ მოიგებენო...

— საქართველოს ნაკრებმა ფარერებზე 6:0 მოიგო. ესე იგი, გუნდს პროგრესი აქვს, ანგარიში მართლაც არაა სახუმარო.

— რა სტილის ფეხბურთს თამაშობს საქართველო?

— მათ რამდენიმე მართლაც ძლიერი ფეხბურთელი ჰყავთ. ქართველებს უყვართ თამაში, უყვართ ბურთი და საერთოდ, ლათინურ სტილში თამაშობენ. მათთვის ფრანგული ფეხბურთის მანერა ცოტა მიუღებელია. ქართველები ვერასოდეს აითვისებენ ანგლო-საქსურს და საერთოდ, ჩრდილოურ დისციპლინას. მე იქ ხშირად ვაწყდებოდი დისციპლინის პრობლემას.

— ფიქრობთ, რომ თქვენი წამოსვლის შემდეგ საქართველოს ნაკრები არ შეიცვლებოდა?

— შესაძლოა, შეიცვალა. მათ ახალი გერმანელი სპეციალისტი კლაუს ტოპმიოლერი წვრთნის. მაგალითად, საქართველო უკრაინის ნაკრებს შეედრება — უკრაინელები ფიზიკურად ძლიერები არიან და გამართულ ფეხბურთსაც ამიტომ თამაშობენ, თუმცა მახსოვს, უკრაინაში ჩვენ თამაშით აშკარად ვაჯობეთ მასპინძლებს. რაიმონ დომენკმა მაქსიმალურად უნდა გაამახვილოს ყურადღება მკაცრ თამაშზე, ქართველებს დიდი ძალებით შეტევის საშუალება არ უნდა მისცეს.

— რამ შეიძლება, ხელი შეუშალოს საფრანგეთს თბილისში მოგებაში?

— ქართველები ძალიან მოტივირებულები იქნებიან. ზოგადად, იქ თბილი ხალხია, მაგრამ გულშემატკივრებმა სტადიონზე ობსტრუქციის მოწყობაც იციან, ძალიან ამბიციურები არიან და ნებისმიერ შემთხვევაში მოგებას ითხოვენ. საქართველო მახე არაა — დომენკის გუნდი თუ თავის რეალურ ძალას აჩვენებს და გუნდურ ფეხბურთს ითამაშებს, პრობლემა არ შექმნება.

— „მილანის“ მცველი კახა კალაძე და „ალკმაარის“ თავდამსხმელი შოთა არველაძე — მათ გარდა ქართველებს გამორჩეული ფეხბურთელები არ ჰყავთ?

— კალაძე და არველაძე სამაგალითონი არიან მთელ ქართულ ფეხბურთში. არველაძე უკვე ასაკშია, მაგრამ ისე თამაშობს, თითქოს კარიერის პიკზე იყოს — ბრწყინვალე ფორვარდია, გოლზე დაგეშილი. ევროპულ კლუბებში ასევე კარგი რეპუტაცია აქვთ ზურაბ ხიზანიშვილს, ლევან კობიაშვილს, ალექსანდრე იაშვილს, რუსეთსა და უკრაინაში მოთამაშე რამდენიმე ლეგიონერს... თუმც ისიცაა, რომ ქართველებს მაღალი კლასის ფეხბურთელები საკმარისად არ ჰყავთ, ზოგჯერ თერთმეტი ძლიერი მოთამაშის არჩევაც პრობლემად მქონდა.

### დავით ყიფიანის თასი

**პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები**

31 აგვისტო

**ამირანი** თბილისი 5:3 ***კახეთი*** თელავი (1:3)

**მსაჯები:** ი. ურუშაძე; ბ. ჭიჭინაძე, ზ. გურგენაძე; დ. სანოძე

1 სექტემბერი

**მაღაროელი** ჭიათურა — **ოლიმპი** რუსთავი (1:5)

**მსაჯები:** ა. გუნთაძე; ე. ნარმანია, ა. კოკაია; მ. ურუშაძე

# საბერძნ-ერთი ტურნირის

## ყენიამ პალანგა საუკეთესოდ მოიარა



**პალანგამოვლილი** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები საბერძნეთში გაემგზავრა, სადაც ოთხთა ტურნირში ითამაშებს. ევროშესარჩევისთვის მზადების მორიგ ეტაპზე ჰერბერტ ცანკერის გუნდი სამ მატჩს გამართავს — საბერძნეთის რეგიონთა ნაკრებთან (2 სექტემბერს), მალტის 17-წლამდელთა ნაკრებთან (3 სექტემბერს) და საბერძნეთის 17-წლამდელთა ნაკრებთან (5 სექტემბერს).

შეგახსენებთ, რომ ორიოდ კვირის წინ ქართველმა ჭაბუკებმა პალანგის საერთაშორისო ტურნირში მეორე ადგილი დაიკავეს. სხვათა შორის, ორგანიზატორებმა ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ლევან ყენია დაასახელეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ცანკერმა საბერძნეთში ეს ფეხბურთელები წაიყვანა:

**მეკარეები:** გიორგი მაკარიძე, ირაკლი დგებუაძე;

**მცველები:** გურამ მინდორაშვილი, გიორგი გეთიაშვილი, ცოტნე ბუკია, ილია სორდია, ირაკლი კალანდია;

**ნახევარმცველები:** თორნიკე თარხნიშვილი, გიორგი მამუჩიშვილი, ლევან ყენია, გიორგი სალარიძე, ბესიკ კვარაცხელია, ბექა ბეროშვილი, ზაქრო ბეგლარიშვილი, გიორგი ჯოხაძე;

**თავდამსხმელები:** მიხეილ ხოკერაშვილი, თემურ შონია, ლევან მჭედლიძე.

**კახა ზალამბერიძე**

# ლოკომოტივიდან ლოკომოტივამდე

## ჩვენი ნაცნობი უეფას გაიცნობს



**ერთი** საინტერესო ამბავი: თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილი თავდამსხმელი, პერუელი ხუან დიეგო გონსალესი ბელგიურ „ვარეგემში“ გადავიდა. ბელგიელებმა უკვე საუეფასთასო განაცხადშიც შეიყვანეს ახალწვეული და შესაძლოა, უეფას თასის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე მალხაზ ასათიანის მოსკოვის „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ ათამაშონ კიდეც.

შეგახსენებთ, რომ თავის დროზე გონსალესი საქართველოში ლუის ცაკარიასმა ჩამოიყვანა, თუმც პერუელი ფორვარდი აქ დიდხანს არ გაჩერებულა — „ლოკომოტივში“ მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა და მშობლიურ „ალიანსაში“ დაბრუნდა, ორი წლის წინ კი ესპანურმა „მალაგამ“ 2 მილიონ დოლარად შეიძინა.

ახლა გონსალესის კარიერაში ბელგიური ეტაპის დრო დადგა...

**კახა ზალამბერიძე**

# იღბლიანი გადაჯდომა ლადადან

## ლევან გვაზავა ნალჩიკის სპარტაკშია

**ზოგი** ჭირი მარგებელიაო, ასეა ლევან გვაზავას საქმე. 25 წლის ნახევარმცველი რუსეთის პირველდივიზიონელ ტოლიატის „ლადაში“ ისინჯებოდა, მაგრამ იქ ვერ ჩაირიცხა. სამაგიეროდ, პრემიერლიგის გუნდს გამოჰკრა ხელი — გუშინ გვაზავა ნალჩიკის „სპარტაკმა“ გადაიყვანა.

ლევანი სეზონის ბოლომდე დარჩება ყაბარდოულ კლუბში, სადაც მშვენიერ სეზონს ატარებს საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გოგიტა გოგუა. ნალჩიკელები ამჟამად პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზე არიან, სამიოდ კვირის წინ კი სულაც ლიდერები იყვნენ.

შეგახსენებთ გვაზავას განვლილ გზასაც: სიჭაბუკისას ოთხი სეზონი მოლდოვურ „ზიმბრუში“ გაატარა, სადაც გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. შარშან ზამთარში ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გადავიდა და მერე რაც ამ კლუბს დაემართა, კარგად გეცოდინებათ. გასული სეზონის მეორე ნახევარი კი ლევანმა „ბათუმში“ ითამაშა, თუმცა საქართველოში დარჩენა აღარ ისურვა.



ლევან გვაზავა (მარცხნივ) ნალჩიკელია

და ერთიც: გვაზავას გარდა, ნალჩიკის „სპარტაკი“ დღე-დღეზე თავდამსხმელ ირაკლი გეფერიძესაც გადაიბირებს. მოგეხსენებათ, ეს 19 წლის ფეხბურთელი რუსეთის მოქალაქეა და იქაურ ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია — შარშან იგი „სატურნის“ დუბლებში იყო, წლევანდელი სეზონი კი ნიჟნი ნოვგოროდის „სპარტაკში“ დაიწყო.

**ილია ნანობაშვილი**

# აბრამოვიჩი ვერაგობა და სიძულვილი ბეიტსი






## შავი ციმბირელების ამბავს გამოიძიებენ

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაცია და პრემიერლიგა შეთანხმდნენ, რომ „ლიდს იუნაიტედის" მიერ „ჩელსის" წინააღმდეგ შეტანილ საჩივარს ერთობლივად გამოიძიებენ. შეგახსენებთ, რომ საქმე, ლონდონელების მიმართ ლიდსელთა თავმჯდომარის, კენ ბეიტსის პრეტენზიას ეხება. „ლიდსის" საყმაწვილო აკადემიის სამი მოთამაშის გადაბირების მცდელობა და მათგან ორის გადაბირება — აი, ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ კონფლიქტის არსი. საუბარია მავან ტომ ტაივოზე, მაიკლ ვუდსა და დენიელ როუზზე.

ბეიტსმა „ჩელსის" წინააღმდეგ სარჩელი 2 აგვისტოს შეიტანა. მაშინ „ლიდსის" თავმჯდომარემ განაცხადა: „ჩვენს ხელთ სერიოზული სამხილებია, რომელთა მეშვეობით დავამტკიცებთ, რომ ლონდონელები „ლიდს იუნაიტედიდან" ორი ფეხბურთელის გადასაბირებლად, აგრესიულ და უკანონო მეთოდებს მიმართავდნენ. ჩვენი ამოცანა „ჩელსის" დასჯა კი არა, მათი შეჩერებაა, რათა მომავალში ასეთ ხრიკებს ველარ მიმართონ".

შეგახსენებთ აგრეთვე, რომ არსებობს კონტრსაჩივარიც, რომელიც 17 აგვისტოს „ჩელსიმ" შეიტანა ზემოხსენებული ბეიტსის წინააღმდეგ. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია აცხადებს, რომ ამ საჩივარს ცალკე საქმედ მიიჩნევს და ისე განიხილავს. დავაზუსტოთ: ბეიტსმა „ჩელსის" პატრონებსა და დირექტორებს შავი საქმეების დამტრიალებელი ციმბირელები უწოდა, რაც ლონდონურმა კლუბმა რასობრივ შეურაცხყოფად მიიჩნია.

რა მოხდება ამჟამად, ვერ გეტყვით, მაგრამ ზოგადად „ჩელსი", ფეხბურთელების ხელში ჩასაგდებად სხვადასხვა ხრიკების გამოყენებაში არათუ შემჩნეულია, არამედ ამისათვის დაუსჯიათ კიდეც. კერძოდ, 2005 წელს, „არსენალის" მცველთან, ეშლი კოულთან ფარული შეხვედრები რომან აბრამოვიჩის კლუბს 300, ხოლო მის პორტუგალიელ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს (სხვათა შორის, ისევე, როგორც თავად კოულს) 75 ათასი გირვანქა დაუჯდა.

**ბაპუნა ქედია**

# კოულმა პორტში შეცურა



**ჰარი რედნაპის** „პორტსმუთი" კიდევ ერთი ფეხბურთელით გაძლიერდა. „ფრატონ პარკს" ამჯერად, ვეტერანმა ფორვარდმა ენდი კოულმა მიაშურა. კონტრაქტი ორწლიანია, ხოლო ბრიტანული პრესის ცნობით, „მანჩესტერ სიტი" 34 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 700 ათას გირვანქას მიიღებს. თანხა მილიონამდე გაიზრდება თუ კოული „პომპეის" ძირითად შემადგენლობაში ხშირად ითამაშებს. „ნიუკასლის", „მანჩესტერ იუნაიტედის", „ბლექბერნისა" და „ფულემის" ექსვარსკვლავის ხელფასი კი კვირაში 40 ათასი გირვანქა იქნება.

„სიტის" კოულის შენარჩუნება უნდოდა, რომელმაც გასულ სეზონში მანჩესტერელთა რიგებში ოცჯერ ითამაშა და ათი გოლი შეაგდო, მაგრამ ვეტერანმა „პომპეიში" გადაბარგება ისურვა. მთელი კარიერის მანძილზე კოულს 278 გოლი გაუტანია, ხოლო ეროვნული ნაკრების მაისურა თხუთმეტჯერ მოირგო.

ენდი კოული : „პორტსმუთი" წინსვლას ცდილობს და მინდა, ამ პროექტის ნაწილი გავხდე. იმედია, შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოვავლენ და გუნდს გოლებით შევეწევი. ჩვენი მიზანი ათეულში მოხვედრა იქნება. გარდა ამისა, ძალიან მომწონს აქაური ფანები. მაგალითად, როდესაც „ფრატონ პარკზე" „არსენალი" ჩამოვიდა და დამაჯერებლად იმარჯვა, აქაურ ქომაგებს საყვარელ გუნდზე ცუდი არაფერი დასცდენიათ. პირიქით, „პორტსმუთს" ბოლომდე მხარს უჭერდნენ და „არსენალს" კარგი თამაშისთვის ტაში დაუკრეს".

**ქოქი ქანდელაკი**

# ექვსმილიონიანი ჰუთი და ნაქირავები ვუდგეითი



რობერტ ჰუთი

**„მიდლსბრომ"** სატრანსფერო სეზონის მიწურულს ორი საქმე გაკვაჭა, ინგლისური პრემიერლიგის გუნდმა დაცვა ორი გამოცდილი ფეხბურთელით, ჯონათან ვუდგეიტითა და რობერტ ჰუთით გაიძლიერა.

ვუდგეიტი, „რეალისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი, 26 წლის მცველი, რომელიც ბოლოხანს ტრავმებმა გააწვალეს, მადრიდელებმა „მიდლსბროს" ერთი წლით მიაქირავეს, მაგრამ ხელშეკრულებაში ჩაწერეს, რომ ქირაობის მუდმივ თანამშრომლობად გარდაქმნის თემას აუცილებლად დაუბრუნდებიან. სხვა სიტყვებით, თუ ვუდგეიტის „მიდლსბროში" თამაშით ყველა მხარე კმაყოფილი დარჩება და „რეალსაც" კარგად გადაუხდიან, ფეხბურთელის დროებითი კონტრაქტი მუდმივად გადაიქცევა.

რაც შეეხება გერმანიის ნაკრების წევრ ჰუთს, ის 22 წლისაა და „ჩელსიმ" მასში 6 მილიონი გირვანქა აიღო.

„მიდლსბროს" მწვრთნელი გარეთ საუთგეიტი: „ჩინებული წყვილი შევიძინეთ, ვფიქრობ, ძალიან გავძლიერდებით. ორივე ფეხბურთელს აქვს საშუალება დაამტკიცოს, რომ „მიდლსბროს" მაისურით დიდი სიმაღლეების დაპყრობა სურთ. ერთი სიტყვით, აბსოლუტურად კმაყოფილი გახლავართ".

ვუდგეიტს ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ხუთი თამაში აქვს ჩატარებული. მისი შეძენით „მიდლსბროს" გარდა დაინტერესებულნი იყვნენ „ნიუკასლი" და „ბოლტონი", მაგრამ მშობლიური ქალაქის გუნდმა გადასძალა. ვუდგეიტი „რეალამდე" „ლიდსსა" და ხსენებულ „ნიუკასლში" თამაშობდა, მადრიდში კი 2004 წლის აგვისტოში 13,4 მილიონ გირვანქად გადავიდა, მაგრამ ტრავმების გამო მხოლოდ 14 შეხვედრაში ითამაშა.

ჰუთს კი აქამდე, მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღებული ტრავმა აწუხებდა და „მიდლსბროს" შეფებიც ამიტომ იკავებდნენ თავს, გერმანელის გამოჯანმრთელებას ელოდებოდნენ. ახლა ყველაფერი მოგვარებულია.

**ბაპუნა ქედია**

# ლუა ლუას ტრაგედია




**ლომანა ლუა ლუას** ინგლისური პრემიერლიგის შეფებმა მაისურაზე გარდაცვლილი შვილის ინიციალების დაწერა აუკრძალეს. „პორტსმუთის" თავდამსხმელის ვაჟი, 18 თვის ჯესუსი იანვარში პნევმონიამ იმსხვერპლა, რის გამოც 25 წლის მამას მაისურაზე გვარის წინ შვილის ინიციალების დაწერა მოუნდა, მაგრამ უთხრეს, რომ გლოვის ასეთი ფორმა პრემიერლიგის კანონებს ეწინააღმდეგება.

„ამ სეზონს ჯესუსს ვუძღვნი და მაისურაზე მისი ინიციალების დაწერა სიმბოლური იქნებოდა. უარს ვერ ვიჯერებ. მე ხომ სრული სახელის დაწერაც არ მითხოვია, მხოლოდ ინიციალი ვითხოვე. რა ზიანს მოუტანდა ეს პრემიერლიგას? მე ხომ ჯერ კიდევ საშინლად ვგლოვობ და საფლავზეც კი ვერ მივდივარ. ოჯახის წევრები მირჩევენ მისი თოჯინები გადავაგდო, მაგრამ ვერ ვაკეთებ, არ შემიძლია. ინიციალის დაწერა კი ძალიან დამეხმარებოდა, ახლა ჯესუსი თითქოს თავიდან წამართვეს" — თქვა ლუა ლუამ.

ლუა ლუას ტრაგედიას მუქი ფერები კიდევ იმან შემატა, რომ მამას ვაჟის გარდაცვალება დაუმალეს — ფეხბურთელი კონგოს ნაკრების შემადგენლობაში აფრიკის თასზე გამოდიოდა და სანამ გუნდი მეოთხედფინალში ეგვიპტესთან 0:4 არ დამარცხდა, ანუ მთელი ორი კვირის განმავლობაში, არაფერი უთხრეს. და ეს ყველაფერი ამ წელიწადს მოხდა, როდესაც ლუა ლუა მალარიით დაავადდა და ერთი კვირა რეანიმაციაშიც კი გაატარა.

„პორტსმუთის" თავდამსხმელისთვის ნათქვამი უარი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრესატაშემ ასე ახსნა:

„ფეხბურთელებს არავინ უკრძალავს ზურგზე განსხვავებული გვარის ან სახელის დაწერას, მაგრამ პრემიერლიგა კატეგორიულად ითხოვს, რომ სახელი და ნომერი იყოს პირადი და მკაფიო".

როგორც ამბობენ, ლუა ლუა ახლა ჯესუსის სახელის ბუცებზე დაწერას აპირებს.

„ასე თუ ისე ჩემი შვილის ხსოვნას მაინც ვცემ პატივს" — განაცხადა ფეხბურთელმა.

**ბაპუნა ქედია**

# კაბინეტიდან მოედანზე

## დირექტორებმა ბოსკამპი დირექტორით შეცვალეს


მიშელ პრიუდომი

**ლიეჟის** „სტანდარდის“ მწვრთნელად ბელგიის ნაკრების ყოფილი მეკარე მიშელ პრიუდომი დაინიშნა. პრიუდომმა თანამდებობაზე საქართველოს ნაკრების ოდინდელი თავკაცი იოჰან ბოსკამპი შეცვალა.

ბოსკამპი „სტანდარდში“ სეზონის დასაწყისში მივიდა, მაგრამ ვაგლახ, გუნდმა ჩემპიონატი ძალიან ცუდად დაიწყო, პრიუდომის მოსაძებნად კი ლიეჟის კლუბის დირექტორებს შორს წასვლა არ დასჭირვებიათ, ბელგიელთა საყვარელი ადამიანი და სპორტსმენი ერთ-ერთი მათგანი გახლდათ, სპორტული დირექტორი იყო. ახლა ყოფილი მეკარე მწვრთნელი გახდა და ახალ თანამდებობაზე 2008 წლამდე იმუშავებს.

„სტანდარდი“ გასულ სეზონში მეორე ადგილზე გავიდა, თან ტიტული ბოლო ტურში გაუშვა ხელიდან, ახალ ჩეპიონატში კი, როგორც მოგახსენეთ, საქმეები აერია — პირველ ოთხ ტურში ბოსკამპის შეგირდებმა მხოლოდ ორი ქულა მოიპოვეს და 18-გუნდიან ცხრილში შემაშფოთებელ მე-16 ადგილზე არიან.

ეროვნულ პირველობაზე წარუმატებლობებს საერთაშორისო სარბიელზე ფეხის დაცდენებიც მოჰყვა: ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევი ეტაპიდან „სტანდარდი“ ბუქარესტის „სტიაუამ“ გააგდო.

„სტანდარდის“ ახალი მწვრთნელი 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო მეკარედ დაასახელეს და ლევ იაშინის ჯილდო გადასცეს, 1999-ში კი 40 წლისამ დაანება თამაშს თავი. უთამაშია „სტანდარდში“, „მეჰელენსა“ და „ბენფიკაში“. ბელგიის ნაკრებში 58 შეხვედრა აქვს ჩატარებული. გახლავთ 1990 და 1994 წლების მუნდიალების მონაწილე.

**ბაჩუნა ძიძია**


პეტერ ნოირურერი

# ბუნდესლიგაში მწვრთნელების მოხსნის სეზონი გაიხსნა

**ბუნდესლიგაში** სამი ტური მიილია და ერთმა კაცმა უკვე დაკარგა სამუშაო — „ჰანოვერის“ მწვრთნელი პეტერ ნოირურერი მოხსნეს. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან გუნდმა სამივე მატჩი წააგო, თან 11 გოლი გაუშვა და მხოლოდ 2 გაიტანა.

ნოირურერი სამშაბათ საღამოს, კლუბის შეფ მარტინ კინდს შეხვდა, მაგრამ საკითხი იმავე საღამოს ვერ მოაგვარეს. ოთხშაბათს კი მწვრთნელი ვარჯიშზე არ გამოცხადდა და მისი საქმე თანაშემწეებმა შეასრულეს.

ნოირურერი გუშინწინ კვლავ დაიბარა შეფმა და საუბრის შემდეგ გადაწყდა, რომ მწვრთნელი გუნდს დატოვებდა. „ჰანოვერის“ ოფიციალურ განცხადებაში კი წერია ის, რასაც ზოგადად ასეთ შემთხვევაში წერენ: „დიდი მადლობა პეტერ ნოირურერს გაწეული სამსახურისთვის“.

ვინ უთავკაცებს „ჰანოვერს“, ჯერჯერობით უცნობია, მოხსნილი მწვრთნელის თანაშემწე კი ორია: ტომას კრისტი და მიხაელ შიონბერგი.

შეგახსენებთ, რომ პეტერ ნოირურერმა გუნდი გასული წლის ნოემბერში ჩაიბარა. მის მისვლამდე „ჰანოვერს“ მიჯრით რვა შეხვედრაში არ მოეგო და ახალმა მწვრთნელმა ვითარება გამოასწორა. იმდენი შეძლო, რომ მეთორმეტე ადგილზე გაიყვანა და მეორე ბუნდესლიგაში ჩაქვეითებისგან იხსნა, მაგრამ ამ სეზონის დასაწყისში...

**ირაკლი ნინიძე**

# დოლმა დოდში სორინი მოიგო

**არგენტინის** ნაკრების კაპიტანი ხუან პაბლო სორინი „ვილიარეალიდან“ თომას დოლის „ჰამბურგში“ გადავიდა. 30 წლის მცველმა ბუნდესლიგის კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ არგენტინელს რამდენიმე გუნდი ეპატიჟებოდა, მათ შორის „ბოლტონი“ და „პორტსმუთი“, მაგრამ ბრძოლა „ჰამბურგმა“ მოიგო, რომელსაც „ჩელსიში“ წასული ჰალიდ ბულარუზის შემცვლელი სურდა, ხოლო სორინს „ვილიარეალში“ ამ ზაფხულს აეწეწა საქმეები, მწვრთნელ მანუელ პელეგრინისთან ურთიერთობა გაუფუჭდა და წასვლა მოინდომა.




მართალია, „ჰამბურგმა“ ჰოლანდიელი ჟორის მატიისენიც შეიძინა, მაგრამ ხუან პაბლო სორინი გაცილებით მაღალი კლასის ფეხბურთელია და დაცვას გააძლიერებს.

„გვიხარია, რომ სორინი გადმოვიბირეთ. უდიდესი გამოცდილება აქვს და ძალიან წაადგება ჩვენს გუნდს“ — განაცხადა ჰამბურგელთა სპორტულმა დირექტორმა დიტმარ ბიერსდორფერმა.

**გიორგი დარჯანია**

# მუნიტისი ნახტომში ჟიგიჩის ტოლია

**სანტანდერის** „რასინგმა“ სერბი გიგანტი ნიკოლა ჟიგიჩი იყიდა. ჟიგიჩი ადრე, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ წევრი იყო, ამიერიდან კი კანტაბრიული კლუბის თავდასხმაში ციცქნა პედრო მუნიტისის გვერდით ითამაშებს. ამ ორი ფეხბურთელის ერთად ხილვა საინტერესო იქნება, ჟიგიჩის სიმაღლე ხომ 2,20 მეტრია.

სერბი ფორვარდი 1980 წლის 25 სექტემბერს დაიბადა. განვლილ გერმანულ მუნდიალზე ნაკრების წევრი იყო და კოტ დივუარს გოლიც გაუტანა. ნიკოლა ჟიგიჩი სანტანდერის „რასინგში“ ოთხი სეზონით იბურთავებს.

**ლადო ხომერიკი**


ნიკოლა ჟიგიჩი


პედრო მუნიტისი

# აფრიკა, სპილო და იურგენ კოლერი



**კოტ დივუარის** ნაკრების მწვრთნელად 40 წლის გერმანელი იურგენ კოლერი დანიშნეს. მან ამ პოსტზე გამოცდილი ფრანგი ანრი მიშელი შეცვალა, რომელმაც „სპილოები“ 2006 წლის მუნდიალის მერე დატოვა. კოლერის მთავარი ამოცანა ამჟამად, 2008 წლის აფრიკის თასზე კოტდივუარელთა გაყვანა და იქ წარმატებით თამაშია. მხარეებმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

ეს ინფორმაცია ბევრისთვის ცოტა მოულოდნელი იყო, რადგან კოტ დივუარი აფრიკის საუკეთესო ნაკრებად ითვლება, ხოლო კოლერი დამწყები მწვრთნელია და არცთუ დიდი გამოცდილება აქვს, თუმცა, როგორც ჩანს, კოტ დივუარის ფეხბურთის ფედერაციას მისი სჯერა.

კოლერის ოცწლიანი სათამაშო კარიერა მართლაც შთამბეჭდავი გახლდათ. საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე გერმანელ მცველს თითქმის ყველა ის დიდი ტიტული მოუგია, რაზეც შეიძლება, ფეხბურთელმა იოცნებოს. 2002 წელს თამაშს თავი დაანება და მალევე, ახალგაზრდული ბუნდესნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელად დანიშნეს. ამას „ლევერკუზენის“ სპორტული დირექტორის პოსტი მოჰყვა. 2005 წლის დეკემბერში კი იგი „დუისბურგის“ თავკაცად დანიშნეს, მაგრამ არასახარბიელო შედეგების გამო დაახლოებით ხუთ თვეში დაითხოვეს.

**გიორგი ძაძამიძე**

# სევილიელი სევილიელის ნაცვლად

**ხოსე ანტონიო რეიესი** მადრიდის „რეალში“ ერთი სეზონით იჯარით იბურთავებს. სამეფო გუნდმა და „არსენალმა“ ოთხშაბათს ღამით ფეხბურთელები გაცვალეს. რეიესის მაგივრად არსენ ვენგერის შეგირდი ბრაზილიელი ჟულიო ბაპტისტა გახდება. ამრიგად, „რეალმა“ „ბერნაბეუდან“ არაევროკავშირელი ფეხბურთელი გაისტუმრა, რაც ფაბიო კაპელოს მორიგი ხმაურიანი, ვარსკვლავური ტრანსფერის განხორციელების საშუალებას მისცემს. თან რეიესი სწორედ ის მოიერიშეა, მადრიდელი გრანდის იტალიელ თავკაცს მოედნის მარცხენა ფლანგზე რომ სჭირდებოდა.

შეთანხმება უკვე მიღწეულია და ხელშეკრულების გაფორმებას ოფიციალურ ხელმოწერებიღა აკლია. მოლაპარაკება გადამწყვეტ ფაზაში 30 აგვისტოს საღამოს შევიდა. ესპანეთის სატახტოში ხოსე ანტონიო რეიესის აგენტი ხესუს როდრიგესი ჩაბრძანდა. ესპანეთის ნაკრებთან ერთად „ლას როზასის“ საწვრთნელ ბაზაზე მყოფ ფეხბურთელს სწორედ სენიორ როდრიგესი აწვდიდა მოლაპარაკების დეტალებს. რეიესსაც ერთი სული ჰქონდა, სანამ ლონდონელები მადრიდელებს შეუთანხმდებოდნენ. „ალბათ, სათამაშოდ ისევ ესპანეთში დავბრუნდები. ეს ამბავი ძალიან მახარებს. ჩემი მიზანი „არსენალიდან“ წასვლა და პრიმერადივიზიონში დაბრუნება იყო და თუ კარიერას მადრიდის „რეალში“ გავაგრძელებ, ხომ მთლად უკეთესი“ — განუცხადა გარიგების მომლოდინე ფორვარდმა მადრიდული „ასის“ კორესპონდენტს.

ხოსემ სამეფო გუნდში გადასვლასთან დაკავშირებით მთელი ზაფხული ინერვიულა. „რეალი“ მის ყიდვას ადრეც აპირებდა და „ბერნაბეუზე“ თამაშის პერსპექტივით მოხიბლული რეიესიც საჯაროდ აცხადებდა, მადრიდის „რეალში“ გადაბარგება ჩემი ოცნებააო, თუმცა ესპანელებმა მაშინ „არსენალს“ ოდენ 12 მილიონი ევრო შესთავაზეს („მეთოფეთა“ ფასი 22 მილიონი იყო), რამაც ვენგერის გუნდი გააბრაზა და სევილიელი თავდამსხმელის გაცემაზე უარი ათქმევინა. თავის დროზე რეიესი „არსენალმა“ „სევილიასგან“ 22 მილიონად იყიდა და, ბუნებრივია, ლონდონელებს ზარალში დარჩენა არ სურდათ. მოლაპარაკება ჩიხში შევიდა და „რეალის“ სატრანსფერო სიძუნწით გაბრაზებულმა ფეხბურთელმაც ასე განაცხადა: „ჩემთვის უკვე სულერთია, ინგლისიდან ვინ წამიყვანს — „რეალი“, „ატლეტიკო“ თუ „სევილია“.

გადის მცირე ხანი და სცენაზე „რეალის“ თანაქალაქელი მტერი „ატლეტიკო“ ჩნდება. ესპანურმა მედიამაც აღნიშნა, რეიესის ბედი ალბათ „ატლეტიკოაო“, თუმცა... „ვისენტე კალდერონის“ გუნდმა „არსენალს“ ხოსეს სანაცვლოდ 18 მილიონი შესთავაზა. ეს, რა თქმა უნდა, „რეალის“ 12 მილიონს აღემატებოდა, მაგრამ „მეთოფეებმა“ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — 22 მილიონ ევროს კაპიკსაც არ დავაკლებთო.



ნედვედი და რეიესი — კაპელოს ძველი და ახალი შეგირდები

და მაშინ, როცა სასოწარკვეთილ ხოსე ანტონიო რეიესს ყველა იმედი გადაეწურა, დათმობისკენ პირველი ნაბიჯი მოულოდნელად „არსენალმა“ გადადგა. ბაპტისტა-რეიესის გაცვლა მადრიდის „რეალს“ ინგლისელებმა შესთავაზეს. ეს კომბინაცია ყველა მხარეს აწყობს, თუმცა ფეხბურთელები „რეალში“ და „არსენალში“ერთი სეზონით ოდენ იჯარით იბურთავებენ.

საიჯარო კომბინაციაში ფული არ ფიგურირებს — ლონდონურ-მადრიდული გარიგება მარტო მოთამაშეთა გაცვლაა, თუმცა შეთანხმების ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, საიჯარო სეზონის გასვლის შემდეგ ორივე კლუბს ფეხბურთელთა ყიდვა შეუძლია. რეიესის ფასი უკვე მოგახსენეთ, ჟულიო ბაპტისტა კი შარშან „რეალს“ 24 მილიონი ევრო დაუჯდა. ბაპტისტაც ადრე „სევილიას“ ფეხბურთელი იყო, ისევე როგორც „სანტიაგო ბერნაბეუს“ ახალი მოიერიშე რეიესი.

**ლადო ხომერიკი**



მირკო ვუჩინიჩი ფოტოკამერითაც ერთობა

# ორი ახალი გლადიატორი

**იტალიურმა** „რომამ“ დიდი ხნის საწადელი აისრულა და „ლეჩეს“ ჩერნიგორიელი ფორვარდი მირკო ვუჩინიჩი დაიმატა. შეთანხმების მიხედვით, ახალგაზრდა ფეხბურთელი „სტადიო ოლიმპიკოზე“ იჯარით ითამაშებს. „ვია დელ მარის“ ბინადრებმა კი 2,2 მილიონი გირვანქა მიიღეს. მომავალ ზაფხულს ორმხრივი სურვილის შემთხვევაში „გლადიატორებს“ მისი გამოსყიდვა 2,5 მილიონ გირვანქის დამატებით შეეძლებათ.

დედაქალაქელები ვუჩინიჩს დიდი ხანი უტრიალებდნენ. გუნდის თავკაცი ლუჩანო სპალეტი ჩერნიგორიელისადმი დიდი სიმპათიით არის განწყობილი და მისი ძალიან ეიმედება, რადგან „რომას“ თავდასხმაში გარკვეული პრობლემები ჰქონდა. პირველ სეზონში ვუჩინიჩი 720 ათას გირვანქას მიიღებს, ხოლო თუ „გლადიატორები“ მას ბოლომდე გამოისყიდიან, ხელფასი 1,4 მილიონამდე გაიზრდება.

„რომამ“ დაცვაც გააძლიერა. დედაქალაქელებმა „უდინეზესგან“ ასევე იჯარით როდრიგო დეფენდი დაიმატეს. მართალია, 20 წლის ბრაზილიელმა გასულ სეზონში მხოლოდ 2 მატჩი ჩაატარა ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ იგი პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება.

მოგეხსენებათ, „გლადიატორებს“ ძალიან უნდოდათ „ტოტენჰემიდან“ კორეელი მცველის იუნგ პიო ლის შეძენა და თითქოს ყველაფერი შეთანხმებული იყო, მაგრამ...

„ლის აგენტსა და „ტოტენჰემს“ ყველა დეტალზე შევუთანხმდით, ხოლო როცა სამედიცინო შემოწმებაღა იყო დარჩენილი, ფეხბურთელმა მოულოდნელად განაცხადა, რომ „რომაში“ გადასვლა აღარ სურდა. მიზეზი პირადული და რელიგიურიაო. ჩვენთვის ეს სიურპრიზი გახლდათ, მაგრამ ისღა დაგვრჩენოდა, მისი გადაწყვეტილებისთვის პატივი გვეცა“ — თქვა „გლადიატორთა“ სპორტულმა დირექტორმა დანიელე პრადემ.

თავად ლიმ კი აღნიშნა: „აზრი პირადული მიზეზის გამო შევიცვალე. უფრო დაწვრილებით მოგვიანებით ვიტყვი, თუმცა ჩემს გადაწყვეტილებას რელიგიასთან არანაირი კავშირი არ აქვს“.

**გიორგი ძაძაგაძე**

# პატარა ოქროს ბურთი უელვაშია



**ფრანგი** ფლორენ სინამა პონგოლე ესპანურ „უელვაში“ გადავიდა. „მარკას“ ინფორმაციით, „ლივერპულის“ ყოფილი ფორვარდი ანდალუზიურ კლუბში ერთი სეზონით იჯარით იბურთავებს. „უელვას“ წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი მათთვის უმნიშვნელოვანესი შენაძენია.

სინამა პონგოლე „ლივერპულში“ 2001 წელს ფრანგული „ლე ავრიდან“ მივიდა. გალ ფორვარდს სამი წლის წინ 17-წლამდელთა მუნდიალზე ჩაუქრობისთვის ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის „ოქროს ბურთი“ მიაკუთვნეს. გასული სეზონი კი პონგოლემ იჯარით „ბლექბერნში“ გაატარა.

გარდა ამისა, „უელვამ“ სხვა ფრანგიც, მეკარე ბერნარ ლაკიტიც შეიძინა. 29 წლის ლაკიტი ადრე ბელგიური „შარლერუას“ წევრი იყო.

**ლადო ხომერიკი**

# კონკურენტი მოსულა



ხოსე მოლინა

| 17264 | უნგრეთი-ნორვეგია | 1.85 | 1.95 |
| 17265 | იტალია-ლიტვა | 1.85 | 1.95 |
| 17266 | ლატვია-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17267 | ლუქსემბურგი-ჰოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17268 | მალტა-ბოსნია | 1.85 | 1.95 |
| 17269 | მოლდოვა-საბერძნეთი | 1.85 | 1.95 |
| 17270 | ჩრდ.ირლანდია-ისლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17271 | პოლონეთი-ფინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17272 | რუმინეთი-ბულგარეთი | 1.85 | 1.95 |
| 17273 | შოტლანდია-ფარერები | 1.85 | 1.95 |
| 17274 | სერბეთი-აზერბაიჯანი | 1.85 | 1.95 |
| 17275 | სლოვაკეთი-კვიპროსი | 1.85 | 1.95 |
| 17276 | ესპანეთი-ლიხტენშტაინი | 1.85 | 1.95 |

## ნახევარფინალი. დღეს

# მსოფლიო კენწეროში მაინც გამწარდება

დღეს იაპონიაში მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატი იწყებაო — ასეც ხუმრობენ ცინიკოსები, არადა, საქმე ნახევარფინალამდეა მისული და ზეოთხეულმა უკვე 7-7 თამაშის მოლევა მოასწრო, თან ისე, რომ არც ერთ შეხვედრაში სერიოზულად არ დამუქრებია მარცხი. ყველაფერი რალაც ძალიან იოლად მოხდა — არგენტინამ, ესპანეთმა, აშშ-მ და საბერძნეთმა ჯგუფშიც ყველა თამაში მოიგეს და პლეი ოფშიც, ასე რომ, მათი რეალური ძალა მხოლოდ ახლაღა გამოჩნდება



ბერძენთა ლიდერთაგანი თეოდოროს პაპალუკასი

## არგენტინა — ესპანეთი

ამ თანაბარი და, შეიძლება ითქვას, მსგავსი გუნდების ჯახი წინასწარ მოინათლა მუნდიალის მშვენებად. ესპანელებს და მათ „ბიძაშვილ" არგენტინელებს, ასე განსაჯეთ, თითო მოთამაშე ერთი გვარისაც კი ჰყავთ, ფერნანდესი, რომ აღარაფერი ვთქვათ, თამაშის სტილის ერთგვაროვნობაზე.

ორივე თანაბრად კარგი გუნდია, ვარსკვლავები არც ერთ აკლია, სხვაობა მხოლოდ დროშის ფერებშია და კიდევ იმაშიც, რომ არგენტინელებმა ყველაფრის, ან თითქმის ყველაფრის მოგება მოასწრეს. მაგალითად, ოლიმპიადის და წინა მუნდიალის ფინალშიც იყვნენ. ესპანეთს კი ჯერ არაფერი მოუგია, ევროპის ჩემპიონატიც კი და ნებისმიერი პირინეელის კომენტარში მოისმენთ, რომ სწორედ ახლა დგება ბედისწერის დამარცხების და დიდი გამარჯვებების ჟამი.

ესპანეთი 24 წელიწადში პირველად გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, თუმცა მათ გუნდში ვინმეს რომ წამოსცდეს, ესეც კარგი შედეგია და კმაყოფილი ვარო, ლალატად ჩაუთვლიან და იქნებ გუნდიდანაც გააგდონ. შთამბეჭდავია პირინეელთა შემადგენლობა. კალდერონი, ნავარო, ხიმენესი (კაპიტანი), გარბახოსა, გასოლი — ასეთი ხუთეულით მართლა ძალზე შორს შეიძლება წასვლა. არც ოქროზე ოცნებაა მხოლოდ ოცნება, სავსებით შესაძლებელია, ამ და მათ თადარიგში მცმუკავმა ბიჭებმა არგენტინაც დაამარცხონ და ფინალშიც არ შერცხვნენ. ამასთან, ისინი გადასარევ ინდივიდუალიზმთან ერთად, გუნდადაც ვარგიან, ერთად უტევენ და ერთად იცავენ თავს. და თუ ყბადაღებულ „ესპანურ კომლექსსაც" მოერევიან..

ვარსკვლავები არც არგენტინელებს უჭირთ. აბა, ამათ ჰყავთ, თუ ჰყავთ, მაგრამ ესპანელებს მათ წინააღმდეგ კარგი იარაღი გაუმზადებიათ. არგენტინელთა მთავარმექულე ანდრეას ნოჩიონის ოქროს ხანა უდგას. ნბაშიც („ჩიკაგო ბულზი") ყოჩაღობდა და იაპონიაშიც. ბევრს არ თამაშობს, მაგრამ ხშირად ქულას მეტს იხვეჭს, ვიდრე წუთს ატარებს მოედანზე. ესპანელები მის წინააღმდეგ სავარაუდოდ კარლოს ხიმენესს დაგეშავენ, რომელსაც ევროპა კარგ დამცველად იცნობს. არგენტინელთა უკაშკაშესი ვარსკვლავი მანუ ჯინობილი იაპონიაში ისე არ ქუხს, როგორც ორი წლის წინ ათენში და ოთხი წლის წინ ინდიანაპოლისში წვიმდა. ახლა ის დროის მეტ წილს სათადარიგოთა სკამზე ატარებს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ გუნდი მის გარეშეც დაფრინავს და მანუ თავს გადამწყვეტი ჯახებისთვის ინახავს. დადგა დრო, ყველას აჩვენოს, რაც შეუძლია.

საინტერესო უნდა იყოს სკოლასა და გარბახოსას, აგრეთვე გასოლისა და ობერტოს დუელი. ხუან სანჩესი თუ შეაჩერებს ხუან კარლოს ნავაროს? ვნახოთ. ნავარო ლამის ნახევარ ესპანეთად ღირს.

სხვათა შორის, ესპანეთმა მუნდიალამდელ სპარინგებში ორჯერ იოლად დაამარცხა არგენტინა. ახლა ცოტა სხვა კალიბრის მატჩში მოინდომებს გასამებას.

## აშშ — საბერძნეთი

წინასგან განსხვავებით, ამ წყვილს ჰყავს ფავორიტი. ამერიკელები ყველასთან ფავორიტები არიან, მაგრამ ბოლო წლებში ისე გაუტყდათ სახელი, რომ ახლა ვერ გავრისკავთ და წინასწარ ვერ დავკიდებთ ოქროს მედლებს. საბერძნეთიც ისეთი გუნდია, ნებისმიერის და, მათ შორის, ამერიკის წამოქცევაც რომ შეუძლია. ასე რომ, არც ამ წყვილშია ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილი.

ამერიკელები თავს დაილუპავენ, თუ ბერძნებთანაც ისევე ქარაფშუტულად ითამაშეს, როგორც მეოთხედფინალში გერმანიასთან. დირკ ნოვიცკისა და მის უხეირო თანაგუნდელებს ძალა და შეძლება არ ეყოთ, ნბა-ს თავგასული ვარსკვლავები 30 აცილებული სამქულიანის გამო დაესაჯათ, მაგრამ აი, ბერძნები კი ნამდვილად არ არიან იმის ჩიტები, მეტოქეს ამ რაოდენობის სროლათა და შეტევათა გაფლანგვა იოლად შეარჩინონ. ევროპის ჩემპიონებმა იაპონიაში ყველაზე შეკრული და ლამის მილიგრამებამდე გაწონასწორებული გუნდი ჩაიყვანეს. არავინ ჰყავთ მატჩში საშუალოდ 20 ქულის მშოვნელი, ცოტ-ცოტას ყველა ყრის და ხელი არავის უკანკალებს.

მაგრამ არც ესაა მთავარი, ბერძენთა ძალა მათსავე ნახევარზე, დაცვაში იმალება. ელინთა კედელი ტროას ზღუდეებივით მაღალი და მიუდგომელია და თუ რამ „ვერაგი ცხენი" არ მოეძევება მეტოქეს, დიდი შანსია, ამ ზღუდეზე ჯიქურ მისვლით კისერიც წაიტეხოს. ვერც ბრწყინვალე ამერიკული ინდივიდუალიზმი ჩანს უეჭველი გამარჯვების გარანტიად. კარმელო ენტონი და დუეინ ვეიდი იაპონიაში ყოველ მატჩში საშუალოდ 2-2 ათეულ ქულას იხვეჭენ. წესით, ახლა უნდა გაუჭირდეთ დღიური ნორმის შესრულება.

რაც შეეხება პირად დუელებს, თვალსასეირო იქნება ორი ზორბა ზანგის, საბერძნეთში ნატურალიზებული ამერიკელი შორციანიდისისა და „ნამდვილი" ამერიკელი ბრენდის ჯახი.

**ბოტე ყორშია**



# დირკი დაკარგულ რიტმს დარდობს

## ნოვიცკიმ ოთხივე ნახევარფინალისტი სრულად დააფასა

*აშშ-სთან ნაგების შემდეგ გერმანიის ნაკრების ლიდერი დირკ ნოვიცკი გულგატეხილი ჩანდა. მისმა ნაკრებმა ოკეანისგაღმელებთან 20 ქულით წააგო, ნოვიცკის ანგარიშზე კი 15 ქულაზე მეტი არ აღმოჩნდა. მატჩის შემდეგ ნოვიცკი ჟურნალისტებსაც ესაუბრა*

**— დირკ, პირველი ნახევრის შემდეგ თქვენი გუნდი 40:39 აგებდა, როგორც ჩანს, დიდი ბრძოლა გადაიტანეთ.**

— რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ და პირველ ტაიმში ძალიანაც გავუძალიანდით მეტოქეს, თუმცა მეორე ტაიმში ამერიკელებმა მოუმატეს, ჩვენ კი რამდენიმე უაზრო შეცდომა დავუშვით. რა თქმა უნდა, ისეთი ნაკრები, როგორიც ამერიკელებს ჰყავთ, ასეთ შეცდომებს არ გვაპატიებდა. როგორც კი ლიდერობა იგდეს ხელთ, უფრო ჭკვიანურად ათამაშდნენ, სამქულიანებიც ჩაგვიყარეს, და ჩვენთვის შანსი აღარ დაუტოვებიათ.

**— რას დავაბრალოთ, რომ სროლები არ წაგივიდა?**

— არ ვიცი, რიტმი ვერა და ვერ ვიპოვე და ძალიან მწყდება ამაზე გული, რადგან სხვა შემთხვევაში ალბათ უფრო გვექნებოდა შანსი.

**— რამ გამოიწვია ასეთი სხვაობა მეტოქეებს შორის?**

— პირველ ტაიმში საკმარისად გვქონდა შანსები, თუმცა მესამე მეოთხედში ბურთს ხშირად ვკარგავდით და ამერიკელებმა ეს კარგად გამოიყენეს, შემდეგ კი ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვიათ.

**— ამერიკელები ზედმეტად ათლეტურები ხომ არ იყვნენ თქვენთვის?**

— ველოდით, რომ ბურთის დაჭერა გაგვიჭირდებოდა. მეტოქედ ძალიან მაღალი და სწრაფი კალათბურთელები გვყავდა. ამერიკელებს სისწრაფეში და ხტომაში ბადალი არ ჰყავთ.

**— მეორე ტაიმში ამერიკელთა დაცვა როგორ მოგეწონათ?**

— თამაშის რამდენიმე მონაკვეთში მთელ მოედანზე გაგვიჩაღეს პრესინგი, მათ ნახევარზე გადასვლისას ხშირად გვაკარგვინებდნენ ბურთს, შემდეგ კი სწრაფ კონტრშეტევებს იწყებდნენ. ყველაფერმა ამან განაპირობა მათი დიდი უპირატესობა.

**— მიგაჩნიათ თუ არა აშშ ტურნირის ფავორიტად?**

— ოთხივე ნახევარფინალისტი ტოპკლასის გუნდია. მათ საოცრად მაღალი დონის კალათბურთი ითამაშეს და დამსახურებულად გავიდნენ ნახევარფინალში. ფავორიტად ვერ ერთს ვერ დავასახელებ, ყველა უმაღლესი დონის გუნდია.

**— რისი ბრალი იყო თქვენს მიერ გაცუდებული სროლები? მათი დაცვის კარგი თამაშის თუ უბრალოდ, თქვენი საუკეთესო თამაში ვერ აჩვენეთ?**

— ყველაფერი ერთად. რა თქმა უნდა, მეტოქე მჭიდროდ მეთამაშებოდა და ეს მოსალოდნელიც იყო, თუმცა რამდენიმე ეპიზოდში ისეთი ბურთები გავაფუჭე, რომელთა ჩაგდებაც უბრალოდ, ევალებოდა.

**— საფრანგეთთან მატჩის წინ როგორი განწყობა გაქვთ?**

— ახლა ამაზე არ ვნერვიულობ. ფრანგებზე ფიქრს ხვალ დავიწყებთ, ეს ესაა ძალიან რთული თამაში წავაგეთ და ჯერ კიდევ ამაზე ვფიქრობთ.

**— ნახევარფინალურ წყვილებზე რას იტყვით?**

— საბერძნეთი — აშშ ნამდვილი ბრძოლა იქნება. ორივე გუნდი ძალიან ათლეტურია და ორივეს მშვენიერი სნაიპერები ჰყავს. იგივეს ვიტყოდი ესპანეთი — არგენტინის წყვილზეც. ამათი თამაშიც საინტერესო იქნება და ვფიქრობ, ტურნირიც ლამაზად დასრულდება.

# ნაკრებს გავეყარე, ამერიკას შევეყარე

## საყვარელიძე სტუდენტურ ლიგაში დაწინაურდა



**ეროვნული** ნაკრების მიღმა დარჩენილმა დავით საყვარელიძემ ამერიკული ტრანსფერი გაჩარხა — როგორც „სარბიელს“ ამას წინათ უთხრა, აიდაჰოს შტატის „ჩრდილო-დასავლეთის ნაზარინის“ უნივერსიტეტის გუნდში ჩაირიცხა, რომელიც სტუდენტური ლიგის (NCAA) დაბალ დივიზიონში გამოდის.

საყვარელიძე ახლახან ეროვნულ ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში იყო გამოძახებული და ძირითად 12-ეულში ვერ მოხვდა. მიუხედავად ამისა, მწვრთნელს სთხოვა, ვივლი და ვივარჯიშებო. საყვარელიძეს ფორმის შენარჩუნება სურდა, რადგან ამერიკაში აპირებდა წასვლას.

საყვარელიძე უკვე ახალ გუნდშია. მას ამერიკელებმა ოროთახიანი ბინა მისცეს, ყველა პირობები დაუკმაყოფილეს და დღე-დღეზე უნივერსიტეტის სტუდბილეთსაც ჩააბარებენ. საკალათბურთო გუნდში თამაშთან ერთად საყვარელიძე „ნაზარინის“ უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე ისწავლის, თუმც ჯერ არაა გარკვეული, მეორე კურსზე იქნება თუ მესამეზე.

საყვარელიძეს აქამდეც უთამაშია ამერიკაში, ოღონდ ახალგაზრდულ სტუდენტურ ლიგაში. მაშინ დავით საყვარელიძე ვიქტორ სანიკიძესთან ერთად ნიუ იორკის „გლოუბ ტექნოლოჯის“ უნივერსიტეტში ბურთაობდა.

საყვარელიძე უკვე შეუდგა ვარჯიშს და სავარაუდოდ, „ნაზარინის“ ძირითად ხუთეულშიც ითამაშებს. სხვათა შორის, „ნაზარინის“ უნივერსიტეტში, ოღონდ სამხრეთისაში, თამაშობდა საქართველოს ნაკრების ახლახან ნატურალიზირებული ამერიკელი ტაირონ ელისი. სანამ ამერიკაში წავიდოდა, საყვარელიძე ნაკრების ვარჯიშებზე საჭირო რჩევებს იღებდა ელისისგან და იქ საკმაოდ მომზადებულიც ჩავიდა.

**ირაკლი პერტაია**

# ახალი როკერი

## გიორგი ცინცაძე ესტონეთის გზას დაადგა

**ნაკრების** უგუნდოდ მყოფი კალათბურთელები ნელ-ნელა პოულობენ ნავსაყუდელს. ჯერ იყო და ვიქტორ სანიკიძე მოეწყო ესპანურ „ესტუდიანტესში“, მერე ნიკა ცქიტიშვილი გაურიგდა „სიეტლს“, ახლა კი გიორგი ცინცაძემაც მონახა სასურველი გუნდი — ეროვნული ნაკრების 20 წლის გამთამაშებელი კარიერას ესტონურ „როკში“ გააგრძელებს.

ორიოდ თვეა, ცინცაძე უგუნდოდაა. ის ბოლოს მოსკოვის „დინამოში“ თამაშობდა და ლეგიონერთა მძაფრი კონკურენციის გამო მოსკოველებს გაეყარა. დინამოელებმა ცინცაძეს რუსეთის მოქალაქეობის მიღება შესთავაზეს, ამ გზით თამაშის მეტი შანსი მოგეცემა, რადგან ლეგიონერთა ლიმიტი შენზე არ გავრცელდებაო, მაგრამ გიორგი ბოლომდე ქართველად დარჩა და მოსკოველებს ხელი დაუქნია.

მას შემდეგ ცინცაძის აგენტი ნაირგვარ ვარიანტებს არჩევდა და აი, ტარტუს „როკი“ მოძებნა, რომელმაც გიორგის კონტრაქტი ფაქსის საშუალებით გაუფორმა.

ტარტუს „როკი“ ესტონეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. ყოველ შემთხვევაში, მომავალი სეზონიდან მას ალბათ კონკურენტი არ ეყოლება, რადგან ისედაც ხომ ძლიერი იყო და ამ ზაფხულს ესტონეთის ორი საუკეთესო მოთამაშე შეიმატა — მარტინ მიუერსეპი და დარიო კიკერპილი.

ცინცაძე ახლა ეროვნულ ნაკრებთან ერთად ემზადება საკვალიფიკაციო მატჩებისთვის და მათი დამთავრების შემდეგ ტარტუს გზას გაუყვება.

**ირაკლი პერტაია**







თეონა ცერცვაძე

# ქართველების გუნდური ფოტო სამი ოთხზე

**აზერბაიჯანის** დედაქალაქის თიხის კორტებზე ITF-ის ეგიდით 10 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე ტურნირი მიმდინარეობს. შეჯიბრის ძირითად ბადეში ერთბაშად შვიდი ჩვენებური იყო, მაგრამ ამ შვიდიდან მეორე წრეში მხოლოდ სამმა გააღწია.

ორი ქართველი პირველ წრეში ერთმანეთს შეხვდა და უფრო გამოცდილმა, WTA-ს კლასიფიკაციის 1378-ე ნომერმა, 16 წლის თეონა ცერცვაძემ 6:4 6:0 მოუგო ერთი წლით უცროს ანა ჯიქიას, ვინც ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვდა.

ცერცვაძის გარდა ჩვენებურებიდან მეორე წრეში სოფო შაფათავა და სალომე ალადაშვილი გავიდნენ. 17 წლის შაფათავამ, ვისაც ბაქოში მყოფი ქართველებიდან ყველაზე მაღალი, 1060-ე სარეიტინგო ნომერი აქვს, იოლად — 6:1 6:1 სძლია რუს სვეტლანა ციგანსკაიას, ხოლო 18 წლის ალადაშვილმა კორტის მასპინძელი საირა მამედოვა 6:2 6:4 დაამარცხა.

არ გაუმართლა ქალთა კლასიფიკაციის 1378-ე ნომერს, 18 წლის სოფო ქვაცაბაიას, რომელიც პირველ ნომრად განთესილ ესპანელს, რეიტინგის 443-ე პოზიციაზე მყოფ ევა ფერნანდეს-ბრუგუესს დაეჯახა და უშანსოდ — 0:6 0:6 დამარცხდა. არც 16 წლის სოფიკო შარანგიას ჰქონია შანსი — რუსმა იულია ჩერნიაევამ ჩვენიანს 6:1 6:1 მოუგო. აი, შარანგიას თანატოლმა მარიამ ქურდაძემ კი ბოლომდე იბრძოლა და უკრაინელმა კატერინა მალახოვამ ქართველის წინააღმდეგობა მხოლოდ მესამე სეტის ბოლოსკენ გატეხა — 6:2 6:7 7:5 მალახოვას სასარგებლოდ.

მეორე წრეში შაფათავა მე-6 ნომრად განთესილ ბელარუს ვოლჰა დუკოს ხვდება, რომელმაც საწყის შეხვედრაში რუს დანია მუსინას 6:1 7:5 მოუგო. ცერცვაძის მეტოქე ტურნირის მესამე ნომერი, უკრაინელი კატერინა პოლუნინა იქნება, რომელმაც მანამდე თავისივე თანამემამულეს ელიზაბეტა რიბაკოვას 2:6 6:4 6:4 სძლია. რაც შეეხება ალადაშვილს, მისი მეტოქე ისევ მასპინძელი, მე-7 ნომრად განთესილი ელენა ჰასანოვა იქნება, რომელმაც პირველ წრეში ასევე აზერბაიჯანელი სევილ ალიევა 6:3 6:2 დაჯაბნა.



# ქართული კლასიკა ორი ბრინჯაოთი დაფასდა

**გვატემალაში** მიმდინარე მოჭიდავეთა ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ქართველებმა ორი მედალი მოიპოვეს.

ლაშა გოგიტიძის (50კგ) შემდეგ ჩვენებს მეორე ბრინჯაოს მედალი დავით ქარჩავამ (84კგ) მოუნაგრა. ტურნირის ოფიციალური ვებ-გვერდის ბედოვლათობის გამო, სამწუხაროდ ვერაფერს გეტყვით ვის მოუგო ან ვისთან წააგო ბრინჯაომდე დავით ქარჩავამ. ამ წონაში კი ჩემპიონი თურქი გენკ ილდემი გახდა, რომელმაც ფინალში გერმანელი იან ფიშერი დაამარცხა.

გუშინვე იჭიდავა დარჩენილმა სამმა ჩვენმა „კლასიკოსმა“. მათზე მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ რევაზ ლაშხმა (55კგ) მე-10, ილია გულიბათაშვილმა (66კგ) მე-11, ხოლო მძიმეწონოსანმა დიმიტრი ჯავახიშვილმა მე-5 ადგილი დაიკავეს. თუმც ვერც ამაზე დავდებთ თავს, რაკი შეჯიბრის ვებ-გვერდზე ხშირია შეცდომები.

გუნდურ ჩათვლაში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე საქართველოს გუნდი 46 ნაკრებში, 23 ქულით მე-8 ადგილზეა.

დღეს გვატემალურ ტატამზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეები გავლენ.

ავტორბოლა

# მოვიცადოთ მონცამდე



AFP

ამბობენ, შუმახერს ჩემოდნები ჩალაგებული აქვსო

**ბოლო** ორ რბოლაში მიხაელ შუმახერის ორი მიუტევებელი შეცდომა, რომლებიც მას შესაძლოა ტიტულადაც კი დაუჯდეს, ბევრ სპეციალისტს იმის თქმის საბაბს აძლევს, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მობერდა და დროა, სარბიელი დატოვოს.

შეგახსენებთ, ბუდაპეშტში რბოლის მიწურულს, „წითელი ბარონი" ჯიუტად არ ატარებდა პედრო დე ლა როსასა და ნიკ ჰაიდფელდის აშკარად სწრაფ მანქანებს, რასაც საბოლოოდ თავად მისი გამოთიშვა მოჰყვა, მეტოქეებმა კი მშვიდად დაასრულეს რბოლა მეორე-მესამე პოზიციებზე.

სტამბოლში კი შუა დისტანციაზე ერთ-ერთ მოსახვევში შუმიმ საჭე ვერ დაიმორჩილა, „ფერარი" ტრასას გადასცდა და დამცავ ზონაში ფორთხვისას ოთხი წამი დაკარგა, რამაც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, გამარჯვება წაართვა.

ეს ლაფსუსები რომ არა, 37 წლის დიადი გერმანელი ფერნანდო ალონსოსთან საგვირგვინო დუელში ორი ქულითღა იქნებოდა უკან, რეალურად კი სხვაობა 12 ქულას შეადგენს.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნიკი ლაუდა: „მიხაელის ადგილზე რინგზე თეთრ პირსახოცს გადავაგდებდი და კარიერას დავასრულებდი. ბუდაპეშტმა შეგვახსენა, ხოლო სტამბოლმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პრესინგის ქვეშ იგი ნერვიულობას იწყებს და შეცდომებს უშვებს, ალონსო კი, პირიქით, შეუვალი ხდება, რაც ამტკიცებს — როგორც მრბოლი, ესპანელი ბევრად ძლიერია. მიხაელს მეტი გამოცდილება აქვს, მისი მანქანა და საბურავები უკეთესია, მაგრამ იგი უკვე ველარ იყენებს ამ უპირატესობას. დარწმუნებული ვარ, სტამბოლის რბოლა უმაღლესი ტიტულისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი გახდა, ალონსომ ხომ შუმახერს უფრო სუსტი მანქანით აჯობა."

თავად მიხაელი, ცხადია, ნირწამხდარია, თუმც: „ყველანი ადამიანები ვართ, ყველა ჩვენგანი ცდება და თურქეთში რბოლამაც ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა. სეზონის დასრულებამდე ოთხი ეტაპია, „რენოც" და „ფერარიც" ყველაფერს იღონებენ ტიტულის მოსაგებად, ხოლო საბოლოოდ ვის დარჩება — ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესია საბურავები."

ჟურნალისტების შეკითხვაზე, შესაძლოა თუ არა იტალიაში 10 სექტემბერს რბოლა მისთვის ფორმულა 1-ში უკანასკნელი გამოდგეს, შუმახერს არც ჰო უთქვამს და არც არა — შეიძლება, მონცაში ყველაფერს გაიგებთო.

**გია ახალაძე**

მძლეოსნობა

# მკვრელი ბიზონი


კრისტიან კანტველი

**მომცრო** სლოვაკურმა ქალაქმა დუბნიცამ საკმაოდ მოზრდილ სამძლეოსნო ტურნირს უმასპინძლა და ძირითადად აღმოსავლეთ ევროპიდან ჩასულმა მძლეოსნებმა რამდენიმე რიგიანი შედეგი დააფიქსირეს, მეტადრე ისეთ სახეობებში, რომლებშიც საქმე ეხება რაღაცის, მაგალითად, ბირთვის, უროს შორს გასროლას.

რამდენიმე წელია, სამძლეოსნო სამყარო რუს უროს მტყორცნელ ქალთა უპირატესობას აღიარებს. ტატიანა ლისენკო და გულფია ხანაფეევა ერთმანეთს ეცილებიან მსოფლიო რეკორდს და მათ დავაში ძნელად რომ ვინმე ჩაერიოს. მაგრამ აი, ჩაერია. ყველასგან მივიწყებულმა, სიდნეი 2000-ის პოლონელმა ჩემპიონმა კამილა სკოლომოვსკამ ყმაწვილქალობა გაიხსენა და ისე ძალუმად გატყორცნა ურო, პირად რეკორდთან ერთად ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. პირველივე ცდაზე კამილამ 74,73 მეტრს იქით დასცა ურო, რაც აქამდე ვერც ერთ პოლონელ ქალს ვერ მოეხერხებინა.

ლისენკომ ძალიან მოიწადინა, როგორც იქნა, მესამე ცდაზე 74 მეტრს გადააცილა ურო, მაგრამ მხოლოდ 14 სანტიმეტრით და გვარიანადაც ჩამორჩა სკოლომოვსკას. მსოფლიოს რეკორდი კი კვლავაც ლისენკოს ეკუთვნის და გაცილებით შთამბეჭდავია, ვიდრე დუბნიცაში მისი შედეგი. რეკორდი 77,80 მეტრი გახლავთ.

კაც მეუროვეთა შორის ყველაზე ყოჩაღი გამოდგა უნგრელი კრისტიან პირსი, ვინც 80,78 მეტრზე გატყორცნა მავთულმობმული რკინის ბირთვი და მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ბელარუს ივან ტიხონს 57 სანტიმეტრით აჯობა.

თუმც აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლებმა ყველაფერი როდი მოიგეს. ამერიკელ ბირთვის მკვრელ კრისტიან კანტველს წლეულს ვერსად ვერავინ სჯობნის, ისეთი ფორმაშია ეს ბიზონივით კაცი, ვერც დუბნიცაში აჯობეს ევროპელმა მებირთვეებმა, კანტველმა 21,61 მეტრზე ჰკრა შვიდკილოგრამიანი სფერო და ესაა სლოვაკეთში რაგინდარა დროს ნებისმიერი მკვრელისგან ნაჩვენები მეორე საუკეთესო შედეგი.

**კოტე ყორშია**

ცურვა

# მოკლე წყლის რეკორდები

**ავსტრალიელ** და ამერიკელ მოცურავეთა ერთიანული ჩემპიონატები მუდამ დიდ ინტერესს იწვევს, რაკიღა ორივე ქვეყნის წარმომადგენლები ამ სახეობაში ჰეგემონიისთვის ცილობენ ფლობენ და მსოფლიოს რეკორდების უმრავლესობასაც ისინი ამყარებენ. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების მოცურავეთა ჩემპიონატმა დიდ წყალში, რომელსაც იანკებმა ხუთი, ხოლო ოზებმა ერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. ამის მერე ყურადღება მიიპყრო ავსტრალიის მოცურავეთა ჩემპიონატმა, რომელიც მოკლე წყალში მიმდინარეობს. აქ მსოფლიოს რეკორდებით ჯერჯერობით ორმა ქალმა — ლიზელ ჯონსმა და ლიბი ლელტონმა — გამოიჩინა თავი.

ლიზელ ჯონსმა 100 მეტრზე ბრასით 2004 წელს დამყარებული ტარე კირკის მსოფლიოს რეკორდი 67 მეასედით წამით გააუმჯობესა — 1.04,12.

ლიბი ლენტონმა ამერიკელ ნატალი კოლგინს ჩამოართვა მსოფლიოს რეკორდი. ლენტონმა 100 მეტრი ბატერფლაით 55,59 წამში გაცურა, 2002 წელს კოლგინის დამყარებული რეკორდი კი 56,34 წამი იყო.

ველორბოლა

61-ე ვუელტა 26 აგვისტო-17 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP

დანილო დი ლუკა

# ესპანეთში სიო არ უბერავს

## მენშოვი გვარივით დაამცრეს

**„ვუელტა ესპანას"** „ტურ დე ფრანსისა" და „ჯირო დიტალიასგან" განსხვავებული სპეციფიკა აქვს. ლაპარაკია მარშრუტის რელიეფზე. თუ საფრანგეთსა და იტალიაში მთელი პირველი კვირა და იქნებ მეტიც ბარის ეტაპებს ეთმობა და მერე სამთო ეტაპები მიყოლებით არის ხოლმე, ესპანეთში მთები, როგორც წესი, უკვე რომელიღაც საწყის ეტაპზე გვხვდება და მერეც ბარი და მთები ერთმანეთს, ფაქტობრივად, რბოლის ბოლომდე ენაცვლება.

წლევანდელ „ვუელტაზე" პირველი სამთო გამოცდა პელეტონს, უკვე მეხუთე ეტაპზე ჰქონდა — პლასენციადან ესტაციონ დე ესქუი ლა კოვატელამდე, ან, ამ ადგიგილის მეორე და გაცილებით მარტივი სახელი რომ ვიხმაროთ, ბეხარამდე 178 კილომეტრი იყო გასავლელი და ამ გზაზე ჯერ ორი პირველ კატეგორიის უღელტეხილი იყო, რომელთა უმაღლესი წერტილები ზღვას დონიდან 1270 და 1440 მეტრი არის, მერე მეორე კატეგორიის მთა და ზედ ფინიშის წინ 1960 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ლა კოვატელას ურთულესი, უმაღლესი კატეგორიის აღმართი.

პირველმა მთებმა პელეტონი გვარიანად დაქსაქსა და ბევრ რამეს მოფინა ნათელი. მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ვუელტას" შარშანდელი გამარჯვებული, რუსი დენის მენშოვი აშკარად ვერ არის ჯანზე. მენშოვმა „ტურზე" ბოლომდე იბრძოლა, ბლომად ენერგია დახარჯა და ეტყობა, ამ ენერგიის შევსება ველარ მოახერხა — ეტაპის მომგებ იტალიელ დანილო დი ლუკას 3 წუთითა და 37 წამით ჩამორჩა და, როგორც ჩანს, ოქროსფერი მაისურას ზედიზედ მეორედ მოგებაზე ალარ უნდა იფიქროს.

ბლომად, მთელი 2 წუთი და 13 წამი წააგო კიდევ ერთმა ფავორიტმა, ყაზახური „ასტანას" ლიდერმა ალექსანდრ ვინოკუროვმა, ვისაც პირიქით, ცნობილ მიზეზთა გამო „ტური" გაუცდა და აქედან გამომდინარე, მთელ აქცენტს, სწორედ „ვუელტაზე" აკეთებდა.

ბევრი — წუთი და 44 წამი წააგო ესპანელთა ერთ-ერთმა ჯილამ იბან მაიომ, მაგრამ ეს ყველაფერ არაფერია იმასთან შედარებით, რაც ოსკარ პერეირო სიოს მოუვიდა — წლევანდელი „ტურ დე ფრანსის" ჯერარგამოცხადებულმა ჩემპიონმა 5 წუთი და 38 წამი მიიღო პასივში და ნათელი გახდა — „ვუელტაზე" „ილეს ბალეარსის" ლიდერი ალეხანდრო ვალვერდე იქნება. თავად ვალვერდემ ფინიშს კარლოს სასტრესთან ერთად 22-წამიანი ჩამორჩენით უწია და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მთავარი მბრძოლა, სწორედ ამ ორ ესპანელს შორის გახურდება და ვინ იცის, იქნებ მათ დავაში დი ლუკაც ჩაერთოს. ყოველ შემთხვევაში, 30 წლის იტალიელმა ბეხარის აღმართი ბრწყინვალედ დაძლია, ლოკალური კონკურენტები — სლოვენიელი ჯანეზ ბრაიკოვიჩი და ყაზახი ანდრეი კაშეჩკინი საფინიშო სპურტით ჩამოიტოვა და კარიერაში პირველად მოიგო ესპანური სუპერრბოლის ეტაპი.

გუშინდელ, მეექვსე ეტაპზე კი საყურადღებო არაფერი მომხდარა. ზამორასა და ლეონს შორის გაჭიმულ 177 კილომეტრიან უმთო გზაზე პელეტონმა გაქცევის ყველა მცდელობა აღკვეთა, ველოსიპედისტებმა ჯგროდ უწიეს ფინიშს და იქ კი ყველას ყოფილმა ლიდერმა, ნორვეგიელმა ტორ ჰუსჰოვდმა აჯობა.

**გია მუჯირი**

### მე-6 ეტაპი. 31 აგვისტო. ზამორა — ლეონი. 177 კმ

| | |
|---|---|
| 1. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) | 41 სთ. 09 წუთ. 10 წმ |
| 2. ენდრი გრიპელი (გერმანია, T-მობაილი) | |
| 3. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი) | |
| 4. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრამი) | |
| 5. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, ლამპრე) | ყველას იგივე დრო |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიქუიგასი) | 22 სთ. 47 წთ. 11 წმ. |
| 2. ჯანეზ ბრაიკოვიჩი (სლოვენია, დისქოვერი) | +4 წმ. |
| 3. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) | +18 წმ. |
| 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +29 წმ. |
| 5. ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე (ესპანეთი, სონი დიუვალი) | +35 წმ. |

US OPEN 2006 **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ 2006. ᲰᲐᲠᲓᲘ. ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ 14 769 000 $** US OPEN 2006

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲫᲕᲔᲚ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲡ ᲓᲐᲔᲓᲐᲠᲐ

## ᲛᲐᲠᲘᲐ ᲨᲐᲠᲐᲞᲝᲕᲐᲛ ᲝᲓᲠᲘ ᲰᲔᲞᲑᲔᲠᲜᲘ ᲩᲐᲘᲪᲕᲐ



AFP ნიუ იორკიდან

### ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

#### ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

ᲠᲝᲯᲔᲠ ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲘ (1, შვეიცარია) — იუ-ცუ ვანგი (ტაივანი) 6:4 6:1 6:0; ᲢᲘᲛ ᲰᲔᲜᲛᲐᲜᲘ (ბრიტანეთი) — გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) 7:6 6:2 6:3; ᲕᲘᲜᲡᲔᲜᲢ ᲡᲞᲐᲓᲔᲐ (აშშ) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) 6:2 6:4 6:3; ᲘᲝᲜᲐᲡ ᲑᲘᲝᲠᲙᲛᲐᲜᲘ (29, შვედეთი) — სკოვილ ჯენკინსი (აშშ) 7:5 6:4 6:4; ᲒᲐᲡᲢᲝᲜ ᲒᲐᲣᲓᲘᲝ (21, არგენტინა) — ანდრეა სეპი (იტალია) 6:4 6:4 6:2; ᲡᲔᲛ ᲫᲣᲔᲠᲔᲘ (აშშ) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:3 6:4 6:4; ᲛᲐᲠᲙ ᲒᲘᲙᲣᲔᲚᲘ (საფრანგეთი) — კრისტოფერ როხუსი (ბელგია) 6:3 6:3 6:4; ᲮᲣᲐᲜ-ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲤᲔᲠᲔᲠᲝ (16, ესპანეთი) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 7:5 6:4 3:6 6:3; ᲢᲝᲛᲐᲨ ᲑᲔᲠᲓᲘᲮᲘ (12, ჩეხეთი) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 6:4 6:2 6:1; ᲤᲚᲝᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲘᲔᲠᲘ (გერმანია) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4 6:1 6:1; ᲐᲚᲔᲮᲐᲜᲓᲠᲝ ᲤᲐᲚᲐ (კოლუმბია) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 7:6 6:2 4:6 7:5; ᲓᲛᲘᲢᲠᲘ ᲢᲣᲠᲡᲣᲜᲝᲕᲘ (23, რუსეთი) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 6:2 6:3 6:4; ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲛᲝᲘᲐ (ესპანეთი) — აგუსტინ კალერი (28, არგენტინა) 7:5 7:6 6:7 6:3; ᲞᲝᲚ-ᲐᲜᲠᲘ ᲛᲐᲢᲘᲝ (საფრანგეთი) — ჯოშუა გუდოლი (აშშ) 6:3 6:2 3:6 6:3; ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ (რუსეთი) — მარკოშ დანიელი (ბრაზილია) 6:3 6:2 3:6 3:6 6:3; ᲯᲔᲘᲛᲡ ᲑᲚᲔᲘᲙᲘ (5, აშშ) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:3 7:5 7:6; ᲓᲐᲕᲘᲓ ᲜᲐᲚᲑᲐᲜᲓᲘᲐᲜᲘ (4, არგენტინა) — მიხაელ ბერერი (გერმანია) 4:6 6:7 6:3 7:5 6:2; ᲛᲐᲠᲐᲢ ᲡᲐᲤᲘᲜᲘ (რუსეთი) — რობინ ვიკი (ჩეხეთი) 6:1 6:1 3:6 6:3; ᲠᲐᲘᲐᲜ ᲡᲕᲘᲢᲘᲜᲒᲘ (აშშ) — გილერმო კორია (არგენტინა) 3:2 (*უარი*); ᲝᲚᲘᲕᲘᲔ ᲠᲝᲮᲣᲡᲘ (26, ბელგია) — ოლივიე პატიენსი (საფრანგეთი) 6:0 6:2 6:2; ᲠᲝᲑᲘ ᲯᲘᲜᲔᲞᲠᲘ (18, აშშ) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 3:6 6:4 6:4 6:4; ᲞᲝᲚ ᲒᲝᲚᲓᲡᲢᲘᲜᲘ (აშშ) — ჯეს ვიტენი (აშშ) 6:3 6:4 2:6 3:6 6:1; ᲠᲐᲔᲛᲝᲜ ᲡᲚᲣᲢᲔᲠᲘ (ჰოლანდია) — უეინ ოდესნიკი (აშშ) 6:4 6:4 7:5; ᲢᲝᲛᲘ ᲰᲐᲐᲡᲘ (14, გერმანია) — ალექს კუზნეცოვი (აშშ) 6:2 6:4 6:0; ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲒᲝᲜᲡᲐᲚᲔᲡᲘ (10, ჩილე) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:2 6:3 6:2; ᲘᲐᲜ ᲰᲐᲨᲔᲙᲘ (ჩეხეთი) — ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) 6:3 6:4 6:4; ᲐᲚᲔᲡᲘᲝ ᲓᲘ ᲛᲐᲣᲠᲝ (იტალია) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 5:7 6:1 7:5 7:5; ᲔᲜᲓᲘ ᲛᲘᲣᲠᲔᲘ (17, ბრიტანეთი) — რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:2 1:6 6:3 6:3; ᲚᲣᲙᲐᲨ ᲙᲣᲑᲝᲢᲘ (პოლონეთი) — კრისტოფ ვლიგენი (32, ბელგია) 2:6 6:1 6:4 1:6 6:3; ᲜᲝᲐᲛ ᲝᲙᲣᲜᲘ (ისრაელი) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 6:2 6:0 4:6 6:2; ᲜᲘᲙᲝᲚᲐ ᲛᲐᲰᲣ (საფრანგეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:4 6:7 6:3 6:3; ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲓᲐᲕᲘᲓᲔᲜᲙᲝ (7, რუსეთი) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 4:6 6:4 7:5 6:0; ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜ ᲒᲠᲝᲟᲐᲜᲘ (30, საფრანგეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:3 6:4 5:7 6:7 6:2; ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲕᲔᲠᲓᲐᲡᲙᲝ (22, ესპანეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4 6:1 3:6 6:1; ᲚᲔᲘᲢᲝᲜ ᲰᲘᲣᲘᲢᲘ (15, ავსტრალია) — ალბერტ მონტანიესი (ესპანეთი) 7:5 6:4 6:3; ᲘᲐᲜ ᲰᲔᲠᲜᲘᲮᲘ (ჩეხეთი) — კევინ კიმი (აშშ) 6:1 6:4 3:6 7:5; ᲒᲐᲔᲚ ᲛᲝᲜᲤᲘᲚᲖᲘ (27, საფრანგეთი) — მაიკლ რასელი (აშშ) 6:2 3:6 7:5 7:6; ᲣᲔᲡᲚᲘ ᲛᲣᲓᲘ (სამხრეთ აფრიკა) — მაქს მირნი (ბელორუსია) 6:4 4:6 6:4 6:7 6:4; ᲚᲣᲘᲡ ᲰᲝᲠᲜᲐ (პერუ) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 7:5 6:4 6:3; ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ᲜᲐᲓᲐᲚᲘ (2, ესპანეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:4 6:4 6:4

#### ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ

ᲔᲜᲓᲘ ᲠᲝᲓᲘᲙᲘ (9, აშშ) — კრისტიან პლესი (დანია) 6:3 7:6 6:3

### ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

#### ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

ᲐᲛᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲔᲡᲛᲝ (1, საფრანგეთი) — კრისტინა ბაროისი (გერმანია) 6:1 7:5; ᲛᲔᲒᲐᲜ ᲨᲝᲜᲔᲡᲘ (აშშ) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:3 6:4; ᲛᲐᲠᲐ ᲡᲐᲜᲢᲐᲜᲯᲔᲚᲝ (იტალია) — ლიზა რეიმონდი (აშშ) 7:6 6:2; ᲡᲘᲑᲘᲚ ᲑᲐᲛᲔᲠᲘ (ავსტრია) — ნატალი დეში (31, საფრანგეთი) 5:7 6:3 6:1; ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲐ ᲰᲐᲜᲢᲣᲮᲝᲕᲐ (17, სლოვაკეთი) — ბეტანი მატეკი (აშშ) 7:5 6:3; ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ (აშშ) — ლურდეს დომინგეს ლინო (ესპანეთი) 6:1 6:2; ᲐᲙᲘᲙᲝ ᲜᲐᲙᲐᲛᲣᲠᲐ (იაპონია) — მელინდა ცინკი (უნგრეთი) 6:1 6:2; ᲐᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ (16, სერბეთი) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:3 5:7 6:4; ᲓᲘᲜᲐᲠᲐ ᲡᲐᲤᲘᲜᲐ (12, რუსეთი) — იულია ბეიგელზიმერი (უკრაინა) 6:1 6:3; ᲘᲣᲚᲘᲐᲜᲐ ᲤᲔᲓᲐᲙᲘ (უკრაინა) — ტატიანა პუტჩეკი (ბელორუსია) 7:5 6:3; ᲘᲐᲠᲛᲘᲚᲐ ᲒᲐᲘᲓᲝᲨᲝᲕᲐ (სლოვაკეთი) — ალექსა გლატჩი (აშშ) 6:2 6:1; ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲙᲣᲢᲣᲖᲝᲕᲐ (უკრაინა) — მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპანეთი) 6:3 6:3; ᲘᲣᲚᲘᲐ ᲤᲔᲓᲝᲡᲝᲕᲐ (საფრანგეთი) — ანაბელ მედინა გარიგესი (25, ესპანეთი) 7:5 6:1; ᲙᲐᲘᲐ ᲙᲐᲜᲔᲞᲘ (ესტონეთი) — სტეფანი ფორეცი (საფრანგეთი) 3:6 7:5 6:1; ᲕᲘᲠᲟᲘᲜᲘ ᲠᲐᲖᲐᲜᲝ (საფრანგეთი) — მარეტ ანი (ესტონეთი) 7:5 6:4; ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲐ ᲰᲘᲜᲒᲘᲡᲘ (8, შვეიცარია) — შუაი პენგი (ჩინეთი) 4:6 6:1 6:3; ᲛᲐᲠᲘᲐ ᲨᲐᲠᲐᲞᲝᲕᲐ (3, რუსეთი) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:3 6:0; ᲔᲛᲘᲚᲘ ᲚᲝᲐ (საფრანგეთი) — კამილ პინი (საფრანგეთი) 5:7 6:4 7:6; ᲜᲘᲙᲝᲚ ᲞᲠᲐᲢᲘ (ავსტრალია) — მილაგროს სექუერა (ვენესუელა) 1:6 7:5 6:2; ᲔᲚᲔᲜᲐ ᲚᲘᲮᲝᲕᲪᲔᲕᲐ (32, რუსეთი) — ტიან ტიან სუნი (ჩინეთი) 4:6 6:0 6:4; ᲜᲐ ᲚᲘ (24, ჩინეთი) — მარია სანჩეს ლორენცო (ესპანეთი) 4:6 6:3 6:0; ᲔᲚᲔᲜᲘ ᲓᲐᲜᲘᲚᲘᲓᲣ (საბერძნეთი) — შენეი პერი (აშშ) 6:0 6:2; ᲔᲕᲐ ᲑᲘᲠᲜᲔᲠᲝᲕᲐ (ჩეხეთი) — გალინა ვოსკობოევა (რუსეთი) 7:6 5:7 6:3; ᲛᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲡᲘ (13, საფრანგეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 7:6 6:1; ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲖᲐᲠᲔᲜᲙᲐ (ბელორუსია) — ანასტასია მისკინა (11, რუსეთი) 6:4 6:2; ᲯᲐᲛᲔᲐ ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲘ (აშშ) — ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 6:2 6:2; ᲐᲚᲘᲝᲜᲐ ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲔᲜᲙᲝ (უკრაინა) — აშა როლე (აშშ) 6:4 6:4; ᲐᲜᲐ ᲩᲐᲙᲕᲔᲢᲐᲫᲔ (23, რუსეთი) — მარტინა სუხა (სლოვაკეთი) 6:4 6:1; ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘ (27, საფრანგეთი) — ეშლი ჰაკლროუდი (აშშ) 6:3 7:5; ᲐᲒᲜᲔᲨᲙᲐ ᲠᲐᲓᲕᲐᲜᲡᲙᲐ (პოლონეთი) — ძი იანი (ჩინეთი) 6:0 7:5; ᲕᲘᲠᲮᲘᲜᲘᲐ ᲠᲣᲐᲜᲝ ᲞᲐᲡᲙᲣᲐᲚᲘ (ესპანეთი) — ემი ფრეიზერი (აშშ) 6:2 6:1; ᲜᲐᲓᲘᲐ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲐ (5, რუსეთი) — კლარისა ფერნანდესი (არგენტინა) 6:2 6:1

**ᲘᲥᲜᲔᲑ?...** ვაითუ?.. აქაც იგივე?... რაფაელ ნადალის შემყურეთ ყველას დაახლოებით ასეთი კითხვები გაუჩნდა. მართლაც, ესპანელი ვარსკვლავბიჭუნა ისე ადვილად გაუმკლავდა გამოცდილ მარკ ფილიპუსისს, სპეციალისტთა თუ გულშემატკივართა დიდი ნაწილი წლეულს უკვე ორჯერ ნანახის — სლემტურნირის ფინალში ნადალ-ფედერერის ჯახის განმეორებას ელის.

არადა, მართლაც ძნელი მოსალოდნელი იყო ოზი დევკაცის ასე იოლად დაცემა 20 წლის პირინეელისგან. თუმც ნადალმა ამ შეხვედრისას დაამტკიცა, რომ შესამჩნევად დაბრძენდა და წყნარად, ცანცარისა და შფოთვის გარეშე შეუძლია, თავის შანსს დაელოდოს. ასე იყო გუშინდელ შეხვედრაშიც — ესპანელი მოთმინებით ელოდა მომენტს, როცა გიჟი მოწოდების მქონე ავსტრალიელი ოდნავ კონცენტრაციას კარგავდა, შემდეგ ამ შანსს ორი ხელით ებღაუჭებოდა და საჭირო ბრეიკსაც აკეთებდა. სულ სამი ასეთი მომენტი ჰქონდა ნადალს, სამივე გამოიყენა და სამივე სეტი ერთნაირი ანგარიშით, 6:4 მოიგო. ამით ესპანელმა მაჩომ კრიტიკოსთა ნაწილი მიაჩუმა და დაამტკიცა, რომ ბაქიბუქი სულაც არ ყოფილა, როცა თქვა, წლეულს აქ კარგად თამაშს აუცილებლად შევძლებო.

ამასობაში კი ფედერერი თავის სტილში, ხელაუკანკალებლად და ჩვეული მკვლელის ინსტინქტით უსწორდებოდა თავის პირველ მეტოქეს, ტაივანელ ვანგს. შვეიცარიელმა თავისთვის ალმავალი პროგრესიით ჯერ ოთხი გეიმი აჩუქა აზიელს, შემდეგ ერთი, ბოლო სეტი სულაც ნულზე მოიგო და მეორე წრეში თავაუტკივებლად გავიდა.

სამაგიეროდ, ჯოჯოხეთის ყველა საფეხური გაიარა დავიდ ნალბადიანმა. არგენტინელი რომ ცუდ ფორმაში იყო, საიდუმლოს არ წარმოადგენდა, მაგრამ მიხაელ ბერერთან ასე თუ იწვალებდა, ვერავინ იფიქრებდა. სამხრეთამერიკელი მაშინ მოეგო გონს, ორი სეტი წაგებული რომ ჰქონდა, მაგრამ ამჯერად კი ეყო კლასი გერმანელის დასამარცხებლად.

თუმც ასე თამაში თუ გააგრძელა, საეჭვოა, დავიდი კიდევ დიდხანს შემორჩეს "ფლეშინგ მედოუზის" კორტებს. მართალია, არც მისი შემდეგი მეტოქე, მარატ საფინი ბრწყინავს წლეულს, მაგრამ მაინც ძნელად წარმოსადგენია, რომ ცუდი ფორმის მიუხედავად რუსმა ორსეტიანი უპირატესობა ხელიდან გაუშვას.

გუშინ კი საფინს რობინ ვიკის ბარიერის გადალახვა მოუხდა და ეს მთლიანობაში ადვილად მოახერხა, მაგრამ პრობლემები ამჯერადაც შეექმნა და უფერულ ჩეხს ერთი სეტი მაინც აჩუქა. ისე კი ნალბანდიანი-საფინი უეჭველად მეორე წრის მატჩებიდან ყველაზე საინტერესო საცქერი უნდა გამოდგეს.

ენდი როდიკი კი ყველაზე სულსწრაფი აღმოჩნდა. სხვებმა პირველი წრის გადალახვა ძლივს მოასწრეს, ენდი-ბოიმ კი უკვე მესამე რაუნდის საგზური გაინაღდა და ორდღიანი შესვენებაც გამოიწერა.

პირველი წინაღობა დაძლიეს ქალთა ფავორიტებმაც. ისე გამოვიდა, რომ სამშაბათს ამელი მორესმოსთვის უწვიმია. საქმე იმაშია, რომ კორტის დატოვებამდე ფრანგს ერთი სეტი მოგებული კი ჰქონდა, მაგრამ მეორეში 2:5-ს აგებდა კრისტინა ბაროისთან და მესამე სეტი გარდაუვალი ჩანდა. მაგრამ ბუნება წაეხმარა ტურნირის პირველ ნომერს და ოთხშაბათს კორტზე დაბრუნებულმა ფრანგმა ეგრევე გადაუარა მეტოქეს, ზედიზედ ხუთი გეიმი აიღო და მესამე სეტიც თავიდან აიცილა.

ჯერჯერობით ყველაზე შთამბეჭდავი თამაში მარია შარაპოვამ აჩვენა. რუსმა პრიმამ ჩვეულად მძლავრად იქნია ჩოგანი და მოაოხრა საცოდავი მიქაელა კრაიჩეკი. თუმც შარაპოვამ მაყურებელი ყველაზე მეტად მაინც თავისი ჩაცმულობით გააოცა. თავად მაშამ ამას ოდრი ჰეპბერნის სტილი უწოდა:

„ეს კაბა ოდრი ჰეპბერნის პატივსაცემად ჩავიცვი. ამ ბოლო დროს მისმა ფილმებმა და ბიოგრაფიამ გამიტაცა და დავრწმუნდი, რომ ის ბრწყინვალე მსახიობთან ერთად, დიდი ადამიანიც ყოფილა. მისი ჩაცმის სტილი კი მართლაც ელეგანტური იყო და ამიტომაც მივბაძე მას".

ადვილად იმარჯვა სერენა უილიამსმაც. შავტუხა ამერიკელმა თანამემამულეებს იმის იმედი ჩაუსახა, რომ მას გადამწყვეტ ეტაპებზეც იხილავენ.

სამაგიეროდ, ფრიად იწვალა მარტინა ჰინგისმა. ჩინელმა პენგმა სეტიც მოუგო შვეიცარიელს და გვარიანადაც არბენინა, მაგრამ კლასი მაინც კლასია და შემდეგ წრეშიც მარტინა გავიდა.

უმთავრესი მოულოდნელობა კი ანასტასია მისკინას წაგება იყო. თუმც ეს რუსი იმდენად ამაზრზენ ფორმაშია, რომ მისი გავარდნისგან არავის ტრაგედია არ შეუქმნია. ბელარუს აზარენკასთვის კი ეს მართლაც რომ კარიერის უმთავრესი მიღწევაა.

**ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ

გამომცემელი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
მთავარი რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
პასუხისმგებელი რედაქტორი ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ
ტექნიკური რედაქტორი ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ᲕᲐᲨᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ: 38-11-14, 877 54 55 00

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ
sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
http://www.sarbieli.com.ge